# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 22 სექტემბერი 2008 №218 (3442) ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავშივე ისინი დაწინაურდნენ, ვისაც ბოლოში თავში ველით

### ხიდეშელი ზესტაფონს ერთ წუთში შეეხიდა



## ჩვეულებრივი ფაშიზმი

### რუსი თეთრიც და წითელიც რუსია

### ირაკლი ლაბაძის პროვოკატორული მატჩი და ლადო ჩიხლაძის „ფავედი“





# ქართველები უცხოეთში

## მსუყე შაბათ-კვირა: გოლებიც და პასებიც

**ვნახოთ** ქართველი ლეგიონერების ამბები და დავიწყოთ გერმანიით, სადაც ბუნდესლიგაში „შალკემ" შინ 1:0 მოუგო „აინტრახტს". ლევან ყენიას არ უთამაშია, ლევან კობიაშვილი კი შეუცვლელად იყო მინდორზე მარცხენა მცველად.

როგორც ჩანს, ამ პოზიციაზე „ხუმარების" ძირითად კაცად კრისტიან პანდერი რომ მიაჩნდათ, მთლად ასეც არ არის.

ალექსანდრე იაშვილის პასით „კარლსრუე" „შტუტგარტთან" სტუმრად მე-7 წუთზე დაწინაურდა, თუმცა ბოლომდე ვერ გაძლო და 1:2 წააგო.

იაშვილი ბოლოსკენ შეცვალეს საგოლე პასი გარდა, გაფრთხილებითაც „გამოირჩა".

მეორე ბუნდესლიგაში ოთარ ხიზანეიშვილი „აუგსბურგის" განაცხადშიც ვერ მოხვდა, მისიანებმა კი 1:2 დათმეს „კობლენცთან". რაც შეეხება მათე ლვინიანიძეს, მან 90 წუთი ითამაშა „მიუნხენ 1860" — „ზანკტ პაულის" შეხვედრაში, სადაც „ლომებმა" 0:1 წააგეს.

„ფრაიბურგმა" 5:0 გაანადგურა „ვეენი", თუმც ამაში დავით თარგამაძის წვლილი არაა — მინდორზე არ შეუყვანიათ.

ინგლისური პრემიერლიგის ტურმა ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე ჩაიარა, მისმა „ბლექბერნმა" კი კარი მშრალად შეინახა — „ფულემს" 1:0 აჯობა.

არადა, „ვარდებს" სეზონის საწყის ოთხ მატჩში 11 გოლი ჰქონდათ გაშვებული.

ჩეხეთში დიმიტრი ტატანაშვილი შეცვლაზე შევიდა „პლზენ" — „ბუდეიოვიცეს" (1:1) შეხვედრაში, 33 წუთი ითამაშა და საინტერესოა, რომ პლზენელთა ფანების გამოკითხვით საუკეთესო იყო გუნდში.

„ტატანამ" მატჩის მიწურულს მიჯრით ორი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ გატანა არ დასცალდა.

გიორგი განუგრავას „ბოლესლავმა" შინ 2:1 აჯობა „კლადნოს" და ლიდერთა სამეულშია. გიორგი კვლავაც განაცხადში იყო, თუმც თამაშმა არ მოუწია.

რუსულ პრემიერლიგაში „ლუჩ-ენერგია" — „ლოკომოტივის" მატჩი იყო ჩვენთვის გამოსარჩევი, სადაც დავით მუჯირმა სულ ერთი წუთი ითამაშა, მასპინძელთა ლიდერი ლევან გვაზავა კი შეუცვლელად იყო მინდორზე და რკინიგზელთა მცველები დატანჯა: გვაზავამ მე-60 წუთზე თავისიანები 2:1 დააწინაურა, როცა საჯარიმოს ხაზიდან შეასრიალა ბურთი კუთხეში, თუმც მოსკოველებმა საბოლოოდ 3:2 იმარჯვეს.

კვირა დღე ბარაქიანი გამოდგა რუსეთში მოთამაშე სხვა ქართველი ლეგიონერებისთვის. ყაზანის „რუბინს" ვერავინ აჩერებს, ამჯერად მოსკოვში „სპარტაკი" 1:0 წააქცია და თითქმის უკვე ჩემპიონია — 9-ქულიანი ჰანდიკაპი უჭირავს.

ლაშა სალუქვაძემ და დავით კვირკველიამაც სრულად ითამაშეს და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. კვირკველიამ ყვითელი ბარათიც მიიღო.

ნალჩიკის „სპარტაკმა" კი სტუმრად „მოსკვას" 3:1 სძლია და დავით სირაძემ თვითონ ხომ გაიტანა თავით, თანაგუნდელ ოლეგ სამსონოვს ცარიელ კართან თავზე დაასვა ბურთი.

სირაძემ და ალეკო ამისულაშვილმა სრულად ითამაშეს. გოგიტა გოგუა კი 41-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და ერთი საგოლე პასი მანაც გააკეთა.

ჰო, სირაძემ მატჩის დასაწყისში ყვითელი მიიღო სიმულაციისთვის.

უკრაინაში გიორგი ციმაკურიძემ „ზარიას" სტუმრად „ხარკოვთან" მოაგებინა. ანგარიში 2:2 იყო, ცოტალა რჩებოდა და ქართველმა თავისივე გამომუშავებული პენალტი ზუსტად დაარტყა. ციმაკურიძემ ყვითელი ბარათიც მიიღო.

დებიუტი ჰქონდა მალხაზ ასათიანს — კიევის „დინამომ" სტუმრად 3:0 მოუგო კახა მჟავანაძის „ჩერნომორეცს". ასათიანმა სრულად და საიმედოდ ითამაშა.

ვასილ გიგიაძე-ლადო ბურდულის „ტავრიამ" გასვლაზე 1:1 ითამაშა „კრივბასთან".

ბურდულის ტავრიული დებიუტი არ შედგა, გიგიაძე კი 70 წუთი იყო მინდორზე და ტრავმის გამო შეცვალეს.

გეხსომებათ, ბურდული და გიგიაძე ჯერ კიდევ შარშანწინ „კრივბასში" თამაშობდნენ ერთად.

ლატვიაში ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა" შინ 5:1 მიანგრია „რიგა" და მენთეშაშვილი ერთი საგოლე პასით გამოირჩა.

ზურამ შეუცვლელად ითამაშა.

„სკონტო" კი რიგაში 1:1-ზე გაეყარა თამაზ პერტიას „დინაბურგს", რომელშიც პავლე დათუნაიშვილმა საწყისი 35 წუთი ითამაშა და შეცვალეს. სკონტოელთაგან დავით გამეზარდაშვილი სრულად გაისარჯა და გაფრთხილებაც მიიღო, ლადო დვალიშვილი კი მეორე ტაიმის შუაში შევიდა მინდორზე.

დანიაში „ვიბორგმა" გასვლაზე 7:1 „აჭამა" „ამაგერს" და გიორგი ფოფხაძეც სრულად გაისარჯა.

დანიის პირველ ლიგაში, გიორგის გუნდს შვიდი მატჩიდან შვიდი მოგება აქვს.

„დინამიტთა" სუპერლიგაში კი დავით დევდარიანს „ორჰუსისთვის" კარგი ფეხი ჰქონია: რაც ის მივიდა, გუნდი სულ იგებს, მაგრამ თვითონ თამაში არ უწევს. „ორჰუსმა" 2:1 სძლია „ნორდსიელანდს".

იტალიის სერია A: გუშინ ლევან მჭედლიძის დებიუტს ველოდით „პალერმო" — „ჯენოას" მატჩში, თუმც სიცილიელთა მწვრთნელმა დავიდე ბალარდინიმ ჩვენიანი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. მჭედლიძის გუნდმა 2:1 იმარჯვა.

აზერბაიჯანზეც ვთქვათ, სადაც დავით ბოლქვაძე-გრიგოლ დოლიძე-კახა ჩხეტიან-მიხეილ მახვილაძის „სიმურგმა" შინ 0:2 დათმო „ინტერთან" და ლიდერობა დაკარგა.

კახა ცხადაძის „სტანდარდმა" კი შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბაკილის" ვერ აჯობა — 1:1. ცხადაძის გუნდს გოლი გივი ჩხეტიანმა გაუტანა, თუმც მოგვიანებით წითელი ბარათით ჩაუშხამდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ერიკ კანტონამ ბაქო საქართველო-რუსეთის ომის გამო იუარა

**ამ** დღეებში ბაქო ევროპის თასს მასპინძლობდა პლაჟის ფეხბურთში, თუმცა ისე ვერ უმასპინძლეს, როგორც უნდოდათ. საქმე ისაა, რომ ორმა მძლავრმა ნაკრებმა, საფრანგეთმა და პორტუგალიამ აზერბაიჯანში ჩასვლა იუარეს და მიზეზი საქართველო-რუსეთს შორის აგვისტოს ომი ყოფილა...

აზერბაიჯანელებს ფრანგებისა და პორტუგალიელების ამგვარი ოფიციალური მიზეზი გაჰკვირვებიათ, პლაჟის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ გაბინო ლინარესთან გადაუმოწმებიათ და...

ლინარესი ამბობს, მე ფრანგებსა და პორტუგალიელებს ვუთხარი, რომ ომი კარგა ხანია, დასრულდა და არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ, მაგრამ მაინც იუარეს ჩასვლაო.

აზერბაიჯანელებს განსკუთრებით ფრანგების, უფრო სწორად, მათი მწვრთნელის უკადრისობის გამო დასწყვეტიათ გული. მწვრთნელი ვინაა და, ერიკ კანტონა...

ასეთი კაცის ჩამოუსვლელობამ ევროპის თასს პრესტიჟი გაუხუნა, კანტონიანად სხვა იქნებოდაო.

**ილია ნანობაშვილი**



# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

I ნრე. 2 ტური

ბორჯომი. 21 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 200 მაყურებელი

## მესხეთი 1:1 ოლიმპი

1:0 გორჩაროვი (53), 1:1 ჩიკვილაძე (89)

**მესხეთი:** სომხიშვილი, რაქვიაშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი (გოჩაშვილი 35), ლეკიშვილი, თაყაძე, ლ. თედიაშვილი, შ. გრიგალაშვილი, ინასარიძე (ქოჩორაშვილი 85), ახალაია, გონჩაროვი (სამადაშვილი 74)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, კობესაშვილი, სუდაძე, მურმანიშვილი
**მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი

**ოლიმპი:** მერლანი, გაბიდაური, გ. სეთურიძე, ფეიქრიშვილი, ა. გილაური, აკუასაგა, ბაბუნაშვილი (დეკანოსიძე 58), მაჭავარიანი (ჩიკვილაძე 22), გ. ჩხეტიანი (მეგრელაძე 51), მიკუჩაძე, თ. ლონლაძე
*სათადარიგონი:* სტურუა, დობროვოლსკი, ფიფია
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**გაფრთხილება:** მეგრელაძე (64), ფეიქრიშვილი (67), თ. ლონლაძე (69), თაყაძე (77), ლეკიშვილი (83), სომხიშვილი (88)

**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, ზ. ხუციშვილი, ა. კოკაია, ზვ. ასკაროლლი

**დამკვირვებელი:** ე. სილაგავა; **დელეგატი:** თ. კუპატაძე

# ოლიმპმა მოსაგები კინაღამ წააგო

**ბექან ჩხეიძე ბორჯომიდან**

**შეხვედრა** სტუმართა უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მათი აქტიურობა პირველ ტაიმში.

პირველი შეტევა მაინც „მესხეთმა" განახორციელა — ლადო ახალაია კარგად გავიდა მარცხენა ფრთაზე, თუმც საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მცველებმა აარიდეს შემტევებს.

წუთში გიორგი სეთურიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

ცოტაც და, გიორგი ფეიქრიშვილმა ითამაშა კარგად, მცველი ჩამოიტოვა და დაახლოებით 18-20 მეტრიდან ხარიხას გაარტყა ბურთი.

თანდათან რუსთაველთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. სტუმრები კარგად იყენებდნენ ფლანგებს, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში სცოდავდნენ.

მე-13 წუთზე სეთურიძის ჩაწოდებულს გაგა ჩხეტიანი დაუხვდა, მაგრამ მიზანი ვერც მან გაისწორა...

32-ე წუთზე შოთა ბაბუნაშვილის აქტიურობის შემდეგ ჩხეტიანს ეუხეშნენ საჯარიმოსთან — აქვსენტი გილაურის დარტყმული ჯარიმა ხარიხას მოხვდა.

მეგრელაძე-ფეიქრიშვილის კომბინაციის შემდეგ გიორგი სომხიშვილმა განხმუტა ხიფათი.

მეორე ტაიმი მშვიდად დაიწყო, თუმც მალე გოლიც ვნახეთ: 53-ე წუთზე ბორის გონჩაროვმა ბურთი მოიგდო საჯარიმოსთან, ჩამოიტოვა ორი მცველი და მეკარესთან პირისპირ გასულმა შანსი არ დაუტოვა მირზა მერლანს — 1:0.

მერე კარგა ხანს საინტერესო არაფერი მომხდარა, 72-ე წუთზე კი დავით ინასარიძის აქტიურობას ისევ გონჩაროვი გამოეხმაურა, კარგად გავიდა მარცხენა ფრთაზე და მახვილი კუთხიდან დაარტყა — სტუმრები გადარჩნენ.

ბოლოს რუსთაველებმა თამაშის გადარჩენა მოახერხეს, გოლი გატანამდე კი კოკა მიკუჩაძე, გიორგი მეგრელაძე და გიორგი გაბიდაური თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უზუსტობაში.

89-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე ჯარიმა დაინიშნა. გილაურის ჩაწოდებისას არეულობაში ბურთი მიუვიდა შეცვლაზე შესულ თენგიზ ჩიკვილაძეს, მანაც ზურგით მდგარმა მაკრატელათი ძალიან ლამაზი ბურთი გაიტანა — 1:1.

მსაჯის დამატებულ წუთებზე რუსთაველებს თავისუფლად შეეძლოთ, სამი ქულით დაბრუნებულიყვნენ შინ — გიორგი დეკანოსიძის დარტყმული ბურთი სასწაულებრივად ასცდა „მესხეთის" კარს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| გაგრა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მესხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ბორჯომი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# გურული გაიფორმეს და განაცხადეს

**სანდრო გურული** რომ ლვოვის „კარპატიში" გადადიოდა, ეს წინა ნომერშიც დავწერეთ.

22 წლის ქართველს უკრაინულმა კლუბმა გუშინწინ გაუფორმა კონტრაქტი და 99-ნომრიანი მაისურაც გადასცა.

გია გურულის ვაჟი „კარპატიმ" ფრანგული „ლიონ-დუშერიდან" იყიდა, სადაც ჩვენიანმა 77 მატჩში 7 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, გურული გუშინ „კარპატი" — „მეტალისტის" (0:2) მატჩის განაცხადშიც იყო, თუმცა მინდორზე არ შეუყვანიათ.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 2 ტური



ნოდარ ახალკაცი და ექტორ რაულ კუპერი

გურამ ცოლიკაშვილის ფოტოები



სანდრო იაშვილი საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა

# სიონს ხიდი ბოლოს ჩაუტყდა

ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან

**ტურის** მთავარი მატჩი იყო და თამაშმა ნაღდად გაამართლა. ჩვენს ჩემპიონატში, სამწუხაროდ, დაბალტემპიანი და უინტერესო მატჩები უფრო მეტია ხოლმე, მაგრამ გუშინ ბოლნისში თვალსასეირო ფეხბურთი ვიხილეთ. ორივე გუნდმა სული და გული ჩააქსოვა სასურველი შედეგის მისაღწევად.

რა თქმა უნდა, მატჩს დაესწრო საქართველოს ეროვნული ნაკრების არგენტინელი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი და ვფიქრობთ, უკმაყოფილო არ დარჩებოდა. შეხვედრას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც უყურა.

მთელი 90 წუთის განმავლობაში ორივე გუნდმა სწრაფი ტემპი შემოგვთავაზა. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრების კართან შეიქმნა — საჯარიმოსთან ახლოს სულიკო დავითაშვილი წააქციეს. ჯარიმა ალექსანდრე კოშკაძემ დაარტყა, მაგრამ ცოცხალ კედელს ვერ ააცილა.

მოედნის ყველა მონაკვეთზე ბურთისთვის ფიცხელი ბრძოლა იყო. ფეხბურთელები სიხისტესაც არ ერიდებოდნენ.

გელა ხუბუას პასის მერე მარცხნიდან დავითაშვილი შეიჭრა საჯარიმოში, კარშიც დაარტყა, თუმცა გრიგოლ ჭანტურიამ არ გაატანინა.

მალე „ზესტაფონის“ ჯერიც დადგა. ბრაზილიელმა ჟილვან ვიერამ მარცხენა ფრთიდან მარჯვნივ გადაინაცვლა და ერთ წუთში გატანის უარეალურესი შანსი მიეცა — იმერულ კლუბში ახლახან დაბრუნებულმა გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ გონივრული გადაცემა გააკეთა და ვიერა მეკარესთან პირისპირ დატოვა, თუმცა მან კარს ვერ დაუმიზნა.

იმავ ჟილვან ვიერამ მარცხენა ფრთაზე ჩაიშხუილა და ჩააწოდა კიდეც — გიორგი ჭელიძემ მიიღო, თუმც მერე მცველებმა ითამაშეს ყურადღებით და მდგომარეობა განმუხტეს.

„სიონის“ ყოფილი ლეგიონერები, ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემი განსაკუთრებულად მონდომებულები ჩანდნენ, ერთ ეპიზოდში ფრიდოლინმა უხეშად ითამაშა და ყვითელიც მიიღო, ტაიმის დასასრულისკენ კი ჩასემმა შორიდან სცადა გატანა, მაგრამ კარს ააცილა.

მეორე ნახევარი გუნდებმა იგივე შემადგენლობებით დაიწყეს, თუმცა „სიონის“ მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ მალევე გააკეთა შეცვლები.

51-ე წუთზე უჩა ლობჟანიძემ დაკარგა ბურთი და მასპინძლებს შეტევის კარგი საშუალება მიეცათ. ზაზა ჭელიძემ გელა ხუბუას უპასა, მან საჯარიმოში რევაზ გოცირიძე მოძებნა, თუმც თავდამსხმელს „ზესტაფონის“ მეკარე ჩაუხტა ფეხებში და გუნდი გოლს გადაარჩინა.

სამ წუთში ჩასემს შეეძლო ყოფილი თანაგუნდელის დამწუხრება. კამერუნელმა ბექა გოცირიძისგან მიიღო გადაცემა, დაამუშავა და კარშიც დაარტყა, მაგრამ დავით სვანიძე გადაელობა და მასპინძლები გადარჩნენ.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა სანდრო იაშვილი, რომელიც შემოსვლიდან რამდენიმე წამში ფრიდოლინიმ წააქცია. სანდრომ თავისი ფიცხი ხასიათი გამოავლინა, კამერუნელისკენ გაიწია, თუმც მალევე დააშოშმინეს.

ბოლნისელებმა საჯარიმოში დაიწყეს მაღალი გადაცემების ჩაწოდება, იაშვილიც საჰაერო ორთაბრძოლებში რამდენჯერმე გამარჯვებული დარჩა, მაგრამ ამან ხეირი ვერ მოიტანა.

თამაში დასასრულისკენ მიდიოდა და დაძაბულობამაც იმატა. 82-ე წუთზე კი შეცვლაზე შესული გიორგი ჩივაძე არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ აშკარად დაინდო — ჩასემი და ჩივაძე წაკინკლავდნენ და ბოლნისელმა ხელი ჩაარტყა სახეში — კამერუნელი მინდორზე გაიშხლართა. როცა წამოდგა, კვარაცხელიამ ორივეს ყვითელი უჩვენა, არადა, ჩივაძე გაძევებას იმსახურებდა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ლაინსმენმა სერგო სპიცინმა ორივე გუნდის გულისწყრომა დაიმსახურა — რამდენიმე ეპიზოდში აუტი არასწორად მიუთითა.

შეცვლები გააკეთა თემურ მახარაძემაც და, უნდა ითქვას, რომ ამან შედეგზე იმოქმედა — ნიკა კვასხვაძე აქტიურად ჩაერთო თამაშში და მარჯვენა ფრთაზე მდგომარეობა გაამწვავა; შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე კი გიორგი ხიდეშელი გამოჩნდა.

90-ე წუთი იყო, კვასხვაძეს მაისურზე დაქაჩეს და ჯარიმა დაინიშნა. იმერლებიდან უდავოდ საუკეთესო ვიერამ ჭკვიანურად ჩააწოდა, ბურთი მცველებს შორის გაძვრა და მინდია ბობღიაშვილმა უხერხულად მოიგერია. იქვე გაჩნდა ხიდეშელი და გამარჯვების გოლიც გაიტანა.

ბოლნისი. 21 სექტემბერი. 16 საათი. თ. სტეფანია. 2 000 მაყურებელი

## სიონი 0:1 ზესტაფონი

0:1 ხიდეშელი (90)

| სიონი | ზესტაფონი |
|---|---|
| სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, კაკაშვილი, სვანიძე, ქემოკლიძე, ქურასბედიანი (შავგულიძე 52), ზ. ჭელიძე, ხუბუა (გ. ჩივაძე 56), კოშკაძე, დავითაშვილი (ს. იაშვილი 66), რ. გოცირიძე<br>სათადარიგონი: ქვაჩახია, შ. ჯიქია, დიდავა, ლ. ბაჯელიძე<br>მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, ფრიდოლინი, რ. ონიანი, დაუშვილი, ვიეირა, გ. ჭელიძე (ნ. კვასხვაძე 71), ჩასემი, ბ. გოცირიძე (გ. ხიდეშელი 89), გელაშვილი (ძარია 85)<br>სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, სანტოსი, იონანიძე<br>მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ქურასბედიანი (10), ფრიდოლინი (28), გ. ჭელიძე (45), ჩივაძე (82), ჩასემი (82)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ს. სპიცინი, ი. უკლება, ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: მ. მალაღურაძე; დელეგატი: ვ. ქორიძე

# მგლებმა ბორჯომი შეჭამა

ზუგდიდი. 20 სექტემბერი. 16 საათი. მ. თუთბერიძე. 1 000 მაყურებელი

## მგლები 4:1 ბორჯომი

1:0, 2:0 თოდუა (21, 33), 2:1 ქარქუზაშვილი (48), 3:1 ლომია (493), 4:1 თოდუა (54)

| მგლები | ბორჯომი |
|---|---|
| მგლები: მამალაძე, ა. ბაჯელიძე, აქუბარდია, ხუხია, ი. ჯიშკარიანი, გუჩუა, ლომია (კ. გოგოხია 71), გულორდავა (ქუცურუა 65), დარსანია (ი. ახალაია 81), გ. თოდუა, გ. მიქაბერიძე<br>მწვრთნელი: ბესიკ შეროზია | ბორჯომი: შეყრილაძე, ბალიაშვილი (ჯობაძე 46), ქარქუზაშვილი, ვაჩიბერაძე, ვ. ხორგუაშვილი, ალავერდაშვილი (გულორდავა 60), ზ. ლაცაბიძე, ნოზაძე, ი. კიკნაძე (ბაქრაძე 75), ლ. ვაშაკიძე, ბეჟანიძე<br>მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი |

გაფრთხილება: გულორდავა (29), ვ. ხორგუაშვილი (48), დარსანია (52)

მსაჯები: მ. ურუშაძე, კ. ბერაძე, ზ. ბერულავა, გ. დოგრაშვილი

**ზუგდიდის** „მგლები“ წინა სეზონში ხელწამოსაკრავი გუნდი არ იყო და რამდენჯერმე ლიდერებსაც გაჰკრა კბილი, საამსეზონოდ კი შემადგენლობა შესუსტდა და, სავარაუდოდ ლიგაში, დასარჩენად უნდა იბრძოლოს.

პირველ ტურში ბოლნისის „სიონთან“ წაგების შემდეგ ზუგდიდელები შინ „ბორჯომს“ რომ დიდ ბრძოლას გაუმართავდნენ, ამას დიდი მარჩიელობა არ უნდოდა...

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და მალევე იხეირეს — გია თოდუა, რომელმაც მერე კიდევ ორჯერ დაამწუხრა კურორტელები, საჯარიმოს გარედან მოჭრილი დარტყმით 21-ე წუთზე დააწინაურა ზუგდიდელები. 33-ე წუთზე კი გიორგი გულორდავას ფლანგიდან ჩაწოდებულს იმავ თოდუამ თავი შეაგება და შესვენებაზე „მგლები“ სოლიდური ფორით გაუშვა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა ცოცხლად დაიწყეს. მალევე გივი ქარქუზაშვილმა ანგარიში შეამცირა — 2:1 და ის იყო, კაცი იფიქრებდა, თამაში დაიძაბებაო, რომ ზუგდიდელებმა მესამე გაიტანეს.

სტუმრებმა მეტოქის ფეხბურთელი საჯარიმოში წააქციეს და შოთა ლომიამ თერთმეტმეტრიანით იხეირა — 3:1.

ეს კი არა, „ბორჯომის“ ფეხბურთელებს გონს მოსვლაც არ აცალეს — 54-ე წუთზე თოდუამ საჯარიმოში გაკეთებულ გამჭოლ გადაცემას ფეხი შეაგება და თამაშის ინტრიგა მოკლა, გასარკვევი აღარაფერი იყო...

ლევან მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 2 ტური



დინამოელებმა მაქსიმე ქვილითაიას ოთხჯერ აჯობეს

# კმაყოფილი ცობელი და დინამოს აუღებლები

თბილისი. 21 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული. 300 მაყურებელი

## დინამო 4:1 სპარტაკი

| | |
|---|---|
| 1:0 გველესიანი (8), 2:0 ვაწაძე (30), 2:1 თარხნიშვილი (53), 3:1 მერებაშვილი (65), 4:1 სპასოევიჩი (87) | |
| დინამო: ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ოდიკაძე (ნერგაძე 79), ხმალაძე, დილმელაშვილი, გველესიანი, გ. მერებაშვილი, ვაწაძე (სპასოევიჩი 83) სათადარიგონი: ლორია; თომაშვილი, ინკირველი, ნ. ჯიშკარიანი, ქანთარია მწვრთნელი: რაინერ ცობელი | სპარტაკი: ქვილითაია, კუპრეიშვილი, ხაჭიპერაძე, ქორიძე, მამულაშვილი, ლ. დათუნაშვილი (ნ. გოგოხია 46), თარხნიშვილი, თექთუმანიძე, სირბილაძე (მაისურაძე 58), შალამბერიძე, ხიდაშელი (ოსეფაშვილი 70) სათადარიგონი: გ. იაშვილი; მ. ლონლაძე, ჯანგიძე, ი. კობახიძე მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |
| გაფრთხილება: ვაწაძე (3), თარხნიშვილი (26), გოგოხია (51) | |
| მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ერქვანია, ვ. გუმბერიძე | |

**ილია ნანობაშვილი**

**ცხინვალის** „სპარტაკმა“ პირველი ტური გამოტოვა და ჩემპიონატი გამწარებულ „დინამოსთან“ მატჩით დაიწყო. რაინერ ცობელის გუნდმა ხომ მე-20 ეროვნულის პირველ ტურში „გაგრასთან“ 1:2 დათმო, ამიტომაც, აშკარად ჩანდა, გუშინ უფრო კონცენტრირებულნი იყვნენ და მეორე სენსაცია აღარ დაუშვეს.

ცობელმა გაგრელებთან ნამატჩევს ისიც თქვა, ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მექნება, მათ თუ ჰგონიათ, სიარულით მოიგებენ, ძალიან ცდებიანო. ვერ გეტყვით, რომელ მათგანს შეეხო გერმანელი მწვრთნელის რისხვა — ეგაა, გაგრული შემადგენლობიდან ცობელმა გულვერდ თომაშვილი და ნიკა ფირცხალავა აღარ ათამაშა.

ანგარიში მალევე გაიხსნა: მე-8 წუთი იყო, დავით ოდიკაძემ ფლანგიდან ჩააწოდა, ვაწაძემ ოდნავ უცვალა ბურთს გეზი და ოლეგ გველესიანს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

ამ გოლმა „სპარტაკი“ თითქოს გატეხა, დინამოელები კი უფრო ტემპიანად ათამაშდნენ, ლევან ხმალაძესა და გიორგი მერებაშვილს ჰქონდათ თითო მომენტი, თუმც ამათ მათე ვაწაძემ აჯობა: ზაალ ელიავას მარცხნიდან რბილად ჩაწოდებულს ახალგაზრდა ფორვარდმა თავი შეაგება და „დინამომ“ ტაიმი ჰანდიკაპით მოიგო.

შესვენებამდე „სპარტაკმა“ ერთადერთი სერიოზული ხიფათი შექმნა, როცა კობა შალამბერიძემ მახვილი კუთხიდან გაისროლა, თუმც დიდიე ოვონომ გრძელი ხელები დროულად გაჭიმა. არ გაუმართლა ოდიკაძესაც, ვინაც საჯარიმო ეფექტურად შეასრულა და ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

მეორე ნახევარში „სპარტაკი“ შედარებით ამოძრავდა, თუმც „დინამოს“ საჯარიმო აატალახაო, ვერ ვიტყვით.

და გოლი, რომელმაც კობა ჟორჟიკაშვილის გუნდს იმედი ჩაუსახა, ქართველი მეკარეებისთვის ნაცნობი ადგილიდან, 30 მეტრიდან გავიდა, ოღონდ კარში გაბონელი იდგა: ოვონომ თორნიკე თარხნიშვილის 30 მეტრიდან უძლიერესად დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

დაძაბული თამაშისთვის მოვემზადეთ, თუმც ბოლო ნახევარ საათში მხოლოდ ერთმა გუნდმა იყოჩაღა — დინამოელების ინდივიდუალურ გარღვევებს სპარტაკელთა მცველები ვერ უმკლავდებოდნენ, ბურთიც ვერ ამოჰქონდათ. აკი ორი გოლი კიდევ გაუშვეს.

ჯერ იყო, გიორგი მერებაშვილმა ფინტებით შეიარა ცხინვალელთა საჯარიმოში, პაუზაც დროული გააკეთა და არცთუ ძლიერად, მაგრამ შორეულ კუთხეში ზუსტად დაურტყა მაქსიმე ქვილითაიას — 3:1.

ამის შემდეგ ოდიკაძის კიდევ ერთი საჯარიმოდან გასროლილი იყო და ქვილითაიამ მართლაც მაგარი ბურთი აიღო, ხოლო ბოლო წუთებზე ილია სპასოევიჩმაც იხეირა: ჩერნოგორიელმა მერებაშვილის მსგავსად ჩაუცეკვა მცველებს და მეკარეს მიუწვდომელ კუთხეში გაუტანა.

ეს რაინერ ცობელის პირველი გამარჯვებაა ეროვნულ ჩემპიონატში, თუმცა ვაღიაროთ, მეტოქე სუსტი ჰყავდა — „სპარტაკისგან“ ცოტა მეტ წინააღმდეგობას ველოდით...

### პრესკონფერენცია

*კობა ჟორჟიკაშვილი:* „დინამოსთან“ სწრაფი გოლის გაშვების მერე „სპარტაკს“ კი არა, უფრო ძლიერ გუნდებსაც უჭირთ ამოქაჩვა. გვაკლდა გიორგი ნადირაშვილი, თუმც უმისოდაც კი ჩვენს დაცვას ასე ცუდად არ უთამაშია. მე არც მახსოვს, ბოლოს როდის ვითამაშეთ ასე სუსტად უკანა ხაზში.

*რაინერ ცობელი:* კარგი თამაში იყო. მიუხედავად დაძაბულობისა, ფეხბურთელები არ უხეშობდნენ და ფეირ პლეის პრინციპს იცავდნენ. საჭირო გამარჯვება მოვიპოვეთ: აუცილებელი იყო სწრაფი გოლის გატანა, რაც გუნდს დაამშვიდებდა და ასეც მოხდა. 2:1 რომ გახდა, ჩემს ბიჭებს ცოტა ნერვიულობა დაეტყოთ, თუმც მესამე გოლმა თამაში დაამთავრა.

გორი. 20 სექტემბერი. 16 საათი. თ. ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 2:0 გაგრა

| | |
|---|---|
| 1:0 რაზმაძე (28), 2:0 კვალინიძე (81) | |
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, დ. ლომაია, რაზმაძე (ყველაშვილი 88), დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ბერიაშვილი (ვ. კვარაცხელია 56), ლიპარტია (კვალინიძე 80) სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, მაისაშვილი, სვანიძე მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ჩარგეიშვილი, გაბედავა, დათუნაშვილი (ტყეშელაშვილი 56), ფილია (ლ. სეთურიძე 85), შარიქაძე (კვანტალიანი 80), მეტრეველი სათადარიგონი: კოტრიკაძე, ტეტუნაშვილი, ლალიანი, აბაშიძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| გაფრთხილება: ლომაია (35) | |
| მსაჯები: ო. ხეცაძე, დ. კურტანიძე, დ. კვეტენაძე, ვ. ელისაბედაშვილი | |

# ვიტ ჯორჯიამ დინამო არ გაიმეორა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**მატჩის** დაწყებამდე ფეხბურთელებმა და სტადიონზე შეკრებილმა ხალხმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპული თანამოქალაქეების ხსოვნას.

ორივე გუნდის მიერ პირველ ტურში წარმატებით ჩატარებულმა მატჩებმა შეხვედრას მეტი ინტერესი შესძინა. თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, სწრაფ ტემპში დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე „ვიტ ჯორჯიას“ შეეძლო ანგარიშის გახსნა — ირაკლი კლიმიაშვილის კუთხურს კარგად შეურჩია ადგილი გიორგი დათუნაიშვილმა, დაასწრო მცველებს და თავით გადაგზავნა ბურთი კარში, მაგრამ რევაზ თევდორაძემ რეაგირება მოასწრო.

თანდათან „ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობა გამოიკვეთა, რადგან მათი ნახევარდაცვა უფრო მობილურად გამოიყურებოდა, ისინი განსაკუთრებით ფლანგებიდან აქტიურობდნენ. გამოირჩეოდნენ კლიმიაშვილი და მარჯვენა მცველი ბეჭვაია.

მე-17 წუთზე კლიმიაშვილის პასის შემდეგ ჯაბა ლიპარტიას შექმნა მომენტი, მაგრამ მეკარის ბაქნიდან სუსტად დაარტყა.

ცოტა ხანში ისევ კლიმიაშვილი უტევდა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა...

ანგარიში 28-ე წუთზე გაიხსნა. ბეჭვაია მარჯვენა ფლანგიდან სწრაფად შეიჭრა საჯარიმოში და პირით ხაზთან მისულმა უკან გააკეთა დაბალი პასი, ლიპარტიამ ბურთი გაატარა და საჯარიმოში შეჭრილმა ლუკა რაზმაძემ ათიოდე მეტრიდან ზუსტად დაარტყა — 1:0.

„გაგრა“ შეეცადა თამაშის გამოსწორებას, თუმცა მათ შეტევებს „ვიტ ჯორჯიას“ დაცვა ადვილად უმკლავდებოდა და ტაიმის ბოლომდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი უფრო საინტერესოდ წარიმართა და კვლავ „ვიტ ჯორჯიას“ შეტევებით დაიწყო. 47-ე წუთზე „გაგრას“ საჯარიმოს ხაზთან წააქციეს გიორგი ბერიაშვილი. სახიფათო საჯარიმო რაზმაძემ შეასრულა, მაგრამ ბურთი ცოცხალ კედელს ვერ გადააცილა.

52-ე წუთზე ლიპარტიამ დაასწრო მცველებს, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ სუსტად დაარტყა და თევდორაძემ ბურთი მოიგერია, იქვე რაზმაძემ დაამატა, მაგრამ უზუსტოდ.

მერე „გაგრა“ გააქტიურდა და 68-ე წუთზე ორჯერ შეეძლო ანგარიშის შეცვლა. ჯერ გიორგი გაბედავა შეიჭრა ფლანგიდან საჯარიმოში და გრიგოლ ბედიაშვილს ხელებში დაურტყა, ხოლო შემდეგ ზვიად მეტრეველს აუღო მეკარემ.

„ვიტ ჯორჯიას“ საპასუხო შეტევის შემდეგ თევდორაძემ იხსნა კარი მეორე გოლისგან, როცა ლიპარტიას მწვავე გადაცემა ნახტომში ჩაჭრა.

73-ე წუთზე მეტრეველი ვალდებული იყო, ანგარიში გაეთანაბრებინა, როცა გაბედავას პასით პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ დარტყმა დააყოვნა და მომენტი ხელიდან გაუშვა, 81-ე წუთზე კი მატჩის საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა — ლიპარტიას ნაცვლად მოედანზე შესულმა გიორგი კვალინიძემ ბურთთან პირველივე შეხება გოლით დააგვირგვინა: დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო უძლიერესად დაარტყა მარჯვენა მაღალ კუთხეში. თევდორაძემ განძრევაც ვერ მოასწრო — 2:0.



ნესტორ მუმლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დევისის თასი. 19-21 სექტემბერი. მინსკი**

| ბელარუსი 3:0 საქართველო |
| --- |
| 18 სექტემბერი |
| ვლადიმირ იგნატიკი — ლადო ჩიხლაძე 6:3 6:2 6:4 |
| 19 სექტემბერი |
| ანდრეი კარაჩენია — ირაკლი ლაბაძე 7:6(7:5) 3:6 2:6 7:5 6:3 |
| 20 სექტემბერი |
| მირნი-იგნატიკი — ჩიხლაძე-ლაბაძე 6:3 3:0-ზე შეწყდა |
| 21 სექტემბერი |
| იგნატიკი — ითონაშვილი 6:4-ზე შეწყდა |
| დღეს |
| კარაჩენია — ხრიკაძე |

# ლადო ჩიხლაძე ნაკრებმა დაღალა

## ირაკლი ლაბაძემ არარუსულად აგინა



რუსლან ბატენკოვი
*მინსკიდან*

„**გადავწყვიტე** ნაკრებში აღარ ვითამაშო. სიმართლე გითხრათ, მაგრად დავიღალე. თან დევისის თასის მატჩებში რამდენიმე კარგ ტურნირს ემთხვევა და ამის გამო ეს ტურნირები გამიცდა. ნაკრებში უკვე ოთხი წელია ვთამაშობ და თავი არასდროს დამიზოგავს. დროა წავიდე ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა, ვწუხვარ, რომ ამ განცხადებას წაგებული მატჩების შემდეგ ვაკეთებ" — ეს სიტყვები საქართველოს მე-2 და მსოფლიო რეიტინგში 1193-ე ჩოგანმა ლადო ჩიხლაძემ დევისის თასის ბელარუსი-საქართველოს წყვილთა. მატჩის წაგების შემდეგ თქვა. ჩიხლაძემ იქვე დაამატა: „ჩემი გადაწყვეტილება არანაირად არ არის განპირობებული ჩვენი მარცხით. ნაკრებიდან წასვლას ამ დაპირისპირებამდეც ვაპირებდი".

სანამ ლადო ჩიხლაძე, ამ განცხადებას მინსკის ოლიმპიური მომზადების ცენტრის საპრესკონფერენციო დარბაზში გააკეთებდა, იქამდე ჩიხლაძის და ირაკლი ლაბაძის დუეტმა მასპინძლებთან მაქს მირნისა და სერგეი ბეტოვის დუეტთან წააგეს. უფრო ზუსტად მატჩი მაშინ შეწყდა როდესაც ბელარუსები 6:3 3:0 იგებდნენ. ამ დროს ირაკლი ლაბაძეს ზურგის ტრავმა გაუმიზეზდა და ვერც ექიმის მასაჟმა და მალამომ უშველა. მატჩი ლაბაძის ტრავმის გამო შეწყდა და გამარჯვება მასპინძლებს ჩაეთვალათ.

ეს უკვე ამ წყვილში გადამწყვეტი მომენტი იყო. ბელარუსის ნაკრები 3:0 დაწინაურდა და დარჩენილმა ორმა მატჩმა აზრი დაკარგა.

სანამ ლაბაძეს ტრავმა გაუმიზეზდებოდა, წინა დღით წაგება და შარში გახვევაც მოასწრო. „სარბიელის" მკითხველს შაბათს მოვწერე, რომ კვირას ირაკლი ლაბაძეს ბელარუსის მე-2 ჩოგანთან ანდრეი კოროტჩენიასთან მოუწევდა თამაში, საღამოს კი ჩიხლაძესთან ერთად წყვილებშიც უნდა ეთამაშა.

კვირა დილით ლაბაძე გამოვიდა კორტზე, მაგრამ მინსკში ისევ კოკისპირულად გაწვიმდა და წინა დღის მსგავსად კოროტჩენია — ლაბაძის დაპირისპირება ხუთსაათნახევრით გადაიდო. ნაშუადღევს კი ლაბაძის და კოროტჩენიას სამსაათნახევრიანი მატჩი — ტრილერი დაიწყო, რომელიც ბელარუსის გამარჯვებით დასრულდა.

პირველი სეტი კოროტჩენიამ ტაიბრეიკზე მოიგო, როდესაც 5:5-ზე მეტოქეს მისავე მოწოდებაზე მოუგო გეიმი — მერე სეტიც. მომდევნო ორი სეტი ირაკლი ლაბაძემ იოლად აიღო, თითქოს მეტოქე კედელთან მიაყენა. თუმც მესამე სეტში დაიწყო, რაც დაიწყო, და კიდევ კარგი სკანდალში არ გადავიდა.

მესამე სეტში გეიმები ქულა-ქულაზე მიდიოდა. ირაკლი ლაბაძე კი ყოველი წაგებული ბურთის შემდეგ მატჩის რუს არბიტრს ანდრეი ლუტენკოს სისხლს უშრობდა. გაფუჭებული ბურთი და ლაბაძე-ლუტენკოს კამათი ერთი იყო. ირაკლი მსაჯს უხეშად მიმართავდა — თვალები გაახილე, ბრმა, სად იყურები — ამდაგვარებს ეუბნებოდა. ამ სიტყვა-პასუხებში კი ტრიბუნიდან ვიღაცამ ირაკლის მისამართით დაიყვირა — მიაწექი არარუსს! და იქ უკვე ირაკლი ლაბაძე დასაბმელი გახდა. სიმართლე გითხრათ, ამ მომენტში ძალიან კარგად გავუგე ირაკლის, რომელიც ისედაც ტრავმირებული თამაშობდა და ტრიბუნებიდან პროვოკაციულ გამოხტომებს ისმენდა. ვალში არც ლაბაძე დარჩა — იმ პროვოკატორს გვარიანი აგინა, თუმც მერე მას ყველა მოწოდებაზე ტრიბუნებიდან უსტვენდნენ და ისედაც ნერვებმოშლილ ქართველს ალარაფერი გამოსდიოდა. არადა, ჩოგბურთში ქომაგი ბურთის გათამაშების დასრულებამდე გასუსული უნდა იყოს...

„ირაკლი უცხო ქვეყანაში, ტრავმირებული, მისთვის უჩვეულო კლიმატურ პირობები სათამაშოდ ჩამოვიდა. ამას დაემატა ვიღაც უვარგისის პროვოკაცია და ბიჭმა კონცენტრაცია დაკარგა. ირაკლის კარგად მესმის ის მგელივით იბრძოდა, კოროტჩენიას დასამარცხებლად სულ ცოტა დააკლდა, ხოლო მეორე დღეს სამსაათნახევრიანი მატჩის შემდეგ, ნახევრად გამოძინებულმა და ტრავმირებულმა წყვილებშიც ითამაშა" — ეს უკვე ბელარუსი ჩოგბურთელის მაქს მირნის სიტყვებია, რომელიც ნერვებმოშლილ ირაკლის როგორც შეეძლო ისე აწყნარებდა.

ერთი დეტალიც: როდესაც ირაკლი ლაბაძემ კოროტჩენიასთან დილიდან ნაშუადღევს გადადებული, სამსაათნახევრიანი მატჩი ჩაატარა, მასპინძლებმა ქართველებს შესთავაზეს ცოტა დაისვენეთ და წყვილებიც დღესვე ვითამაშოთო. ასეც მოხდებოდა, რომ არა კოკისპირული წვიმა, დანარჩენი კი რაც მოხდა, უკვე ვთქვით.

გუშინ კი არაფრისმომცემ მატჩში, ლაბაძის და ჩიხლაძის გარეშე დარჩენილმა ქართველებმა მასპინძელთა პირველ ნომერს ვლადიმერ იგნატიკს თავიანთი სათადარიგო ჩოგანი ითონაშვილი გაუყვანეს, როდესაც იგნატიკმა პირველი სეტი 6:4 მოიგო, მინსკში ისევ კოკისპირულად გაწვიმდა და მატჩი დღეს დასრულდება. დღესვე ითამაშებენ კოროტჩენია და ქართველთა კიდევ ერთი სათადარიგო ჩოგანი 18 წლის გიორგი ხრიკაძე. თუმცა გასარკვევი უკვე გაირკვა: დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის A ჯგუფში ადგილი ბელარუსმა შეინარჩუნა, საქართველო კი ერთი დივიზიონით დაქვეითდა.



მინსკში ირაკლი ლაბაძემ რაც შეეძლო იბრძოლა, მაგრამ ვერას გახდა

რუსლან ბატენკოვის ფოტო



ოქსანა კალაშნიკოვა

# ჩვენი მეჩოგნე ქალების ნახევარი და ფინალები

**ქართველი** ოქსანა კალაშნიკოვას და პორტუგალიელი კატარინა ფერეირას ტანდემმა იტალიის ქალაქ კაზალეში გამართული საჩოგბურთო ტურნირზე წყვილთა გათამაშება მოიგო.

ფინალურ შეხვედრაში ქართულ-პორტუგალიურმა წყვილმა უდაძაბულეს ბრძოლაში მოუგო შვეიცარიელების, ამრა სადიკოვიჩისა და ნიკოლ რაინერის, დუეტს — 7:5 7:6. ფინალამდე კალაშნიკოვას და ფერეირას წყვილმა ჯერ რუსულ-იტალიური, ხოლო შემდეგ არგენტინულ-იტალიური ტანდემები ჩამოიშორა გზიდან.

ამავე ტურნირზე კალაშნიკოვა მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ერთეულთა გათამაშებას, მან შვეიცარიელ ამრა სადიკოვიჩთან წააგო ორ სეტში — 3:6 4:6. გეტყვით იმასაც, რომ კაზელეს ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

აშშ-ის ქალაქ ალბუკერკში მიმდინარე ტურნირზე კი, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარი იყო, ჩვენებურმა ანა ტატიშვილმა ერთეულთა შეჯიბრში ნახევარფინალს უწია. მეოთხედფინალში ანამ ურთულესი ბრძოლა გამოიარა და ორი სეტის ჯამში დაჯაბნა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ჯეორჯაი სთუფი — 7:6(6), 7:5(5).

ნახევარფინალში ანა ტატიშვილი ტურნირზე მე-2 რეიტინგის მქონე ამერიკელ ჯუდი დიტს დაუპირისპირდება.

ქართველი მაკა ჩახნაშვილის და ფრანგი ვიოლეტ ჰუკის წყვილმა იტალიაში, ქალაქ მესტრეში გამართული ტურნირის ფინალში წააგო პირველ ნომრად განთესილ ბოსნიელ მერვანა იუგოჩ-სალკიჩისა და ფრანგ ორელი ვედის ტანდემთან — 2:6 3:6. არადა, ნახევარფინალში ჩახნაშვილი-ჰუკის წყვილმა მე-2 რეიტინგის მქონე იტალიელი ალბერტა ბრიანტისა და სლოვენიელი პალონა ჰერცოგის ტანდემი სამ სეტში დაამარცხა — 6:2 3:6 10:5.

მესტრეს ტურნირს ჩახნაშვილი ერთეულთა პაექრობაში პირველივე ეტაპიდან გამოაკლდა. მან ჩეხ ლუსი პრადესკასთან დათმო შეხვედრა სამ სეტში — 1:6 6:4 1:6. მესტრეს ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი აშშ დოლარი იყო.

**ზურაბ მიგრიაული**



ანა ტატიშვილი

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე. პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ლამის ერთი თვე მიიწურა და ახლა უფრო ადვილიცაა შეფასების გაკეთება ცივ გონებაზე. პეკინში ქართველ გულშემატკივარს გული თუ ვინმეზე დასწყდა, მათ შორის თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძეც (96კგ) იყო. დღესაც ბევრი თვლის, რომ ნახევარფინალში ყაზახი ტეიმურაზ თიგიევის არასპორტული ჭიდაობა რომ არა, გოგშელიძის ჩემპიონობას კაცი ვერ დაუგდებოდა წინ. თუმცა ამას დიდი მარჩიელობა არც სჭირდება. ალბათ ყველამ ნახა, როგორ დამაჯერებლად მოიგო გიორგიმ ორი შეხვედრა ნახევარფინალამდე და მერეც ბრინჯაოს ფინალში კოლუმბიელ ფალავანს თითქმის ცალი ხელით და თვალით აჯობა. გუშინ გიორგი გოგშელიძეს შევეხმიანეთ და კიდევ ერთხელ გავახსენებინეთ ოლიმპიადის ამბები



# გიორგი გოგშელიძე: ახალგაზრდობამ ოქრო წაიღო

— ნახევარფინალამდე ორი ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოვიგე, თუმცა ორივე მეტოქე სერიოზული მყავდა. ყირგიზთან სულაც წაგებული მქონდა ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ირანელიც მაგარი ბიჭია, მაგრამ უპრობლემოდ მოვიგე.

— თიგიევთან მანამდეც გიჭიდავია. იცოდი, რომ ასეთი არასპორტული ჩვევები ჰქონდა?

— მიჭიდავია ბევრჯერ და მხოლოდ ორჯერ წამიგია, დანარჩენ შემთხვევაში მე ვაქცევდი. ვიცოდი, რომ ასეთი მოჭიდავე იყო და მსგავსი შემთხვევისთვისაც ვიყავი მზად. ვარჯიშზე პარტნიორს დავიყენებდი ხოლმე და ვეუბნებოდი, მე გეჭიდავები, შენ კი მეუხეშეთქი. როდესაც ხალიჩაზე გავედი, ფსიქოლოგიურად უკვე შემზადებული ვიყავი და თავიდან მის უხეშობაზე რეაქციაც არ მქონდა. თიგიევმა კი როცა შენიშნა, თვალი როგორ მდგომარეობაში მქონდა, აქცენტი სწორედ ამაზე გააკეთა — ხელს პირდაპირ თვალში მატაკებდა.

იმ მომენტში, როდესაც გავარტყი, შეგნებულად არ მოვქცეულვარ, ტკივილის ინსტიქტმა მაიძულა. გაუსაძლისი ტკივილი ვიგრძენი, თითი თვალში შემიყო...

პრინციპში მაგას სხვა გზა არ ჰქონდა, ასეთი უმსგავსო საქციელით თუ მაჯობებდა, თორემ ისე ჩემი მომგები არ იყო.

— ისე, საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ როგორ იმოქმედა შენზე?

— ჩვენ პეკინში ბოლოს წავედით და რაც საქართველოში ხდებოდა, ის ამბები ვიცოდით. ძალიან ძნელი იყო იმ ყველაფრის გააზრება. როდესაც იცი, ქვეყანას გიბომბავენ და ხალხი იხოცება, საშინელებაა. თუმც უკვე ხალიჩაზე გასვლის დროს მხოლოდ ჭიდაობაზე ფიქრობ და მაქსიმალურად ხარ კონცენტრირებული. ისე კი, რა თქმა უნდა, ამ ამბებმა თავისი დაღი დაგვასვა.

— ერთი მომენტი ისეთიც იყო, რომ პეკინიდან მოდიოდა ქართული დელეგაცია...

— დიახ, ძალიან რთული მომენტი იყო. იმის გააზრებაც გვიჭირდა, რომ შეიძლებოდა, ოლიმპიადაზე აღარ გამოვსულიყავით. ოთხი წელი ემზადები, უდიდესი შრომა გაქვს ჩადებული და უცბად იგებ, რომ შეიძლება წახვიდე. თუმც ის მდგომარეობაც გვესმოდა, რაც იმ დროს საქართველოში ხდებოდა.

— ოლიმპიადას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობ, ლოგიკურად განვითარდა მოვლენები სხვა წონებში, თუ მოულოდნელობებიც იყო?

— სენსაცია ნამდვილად არ ყოფილა. შეიძლება ქვეყანამ, რომლის წარმომადგენელიც მედალს მოიგებს, გაგაკვირვოს იმ თვალსაზრისით, რომ ჭიდაობაში ტრადიციების მქონე ქვეყანა არ იყოს, მაგრამ სამაგიეროდ ის მოჭიდავე აუცილებლად კავკასიიდან იქნება. ყოველ შემთხვევაში, უმეტესწილად ასე ხდება. ახლა მსოფლიოში ამინდს სწორედ კავკასიელი მოჭიდავეები ქმნიან.

რუსეთიდან ბევრი ფალავანი მოდის სხვადასხვა ქვეყნებში საჭიდაოდ და, როგორც ვიცი, როდესაც რუს ფალავანს ხვდებიან, დიდად თავს აღარ იკლავენ. ეს იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ფედერაციაში არ უჩივლეს რუსებმა და თავისუფლად გაუშვეს. ისე კი, დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა, თუ რუსების სურვილის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტენ გამოსვლას სხვა ქვეყნის სახელით. მოკლედ, მთელი სტრუქტურა აქვთ აწყობილი და იმიტომაცაა, ბლომად მედლებს რომ აგროვებენ.

— კარგი, გეგმებზეც გკითხავ...

— გეგმებზე საუბარი ახლა არ მსურს. ოლიმპიადამ ძალიან დამწყვიტა გული და რას ვიზამ მომავალში ჯერ არ ვიცი, მოსაფიქრებლად დრო კიდევ მაქვს...

**ლექსო მაისურაძე**





# ტოჩინოშინის ზედიზედ სამი

**გასულ** უქმეებზე იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში სუმოს სექტემბრის ბაშოზე ქართველებმა ორორი შეხვედრა გამართეს.

„რიოგოკუ კოკუგიკანის" სპორტულ კომპლექსში საკმაოდ კარგად იჭიდავეს ქართველმა ფალავნებმა, ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) და ლევან ცაგურიამ (კოკაი).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გორგაძის გამოსვლა, რადგან მან ცუდად დაწყებულ ტურნირზე ნელ-ნელა მდგომარეობა გამოასწორა. პირველი ხუთი წაგება ჰქონდა. ამის შემდეგ, პარასკევიდან მოყოლებული, ახალგაზრდა რიკიშმა ზედიზედ სამი ორთაბრძოლა მოიგო და ახლა ოთხი გამარჯვება აქვს ამდენივე მარცხთან ერთად.

შაბათს ლევან გორგაძემ აღმოსავლეთის მეთორმეტე მაეგაშირას, ტამანოშიმს მოუგო, მეორე დღეს მას აღმოსავლეთის მეთოთხმეტე მაეგაშირა ტაკეკაძეც დააყოლა, რომელმაც ერთი დღით ადრე კოკაი დაამარცხა. ერთი სიტყვით, ქართველმა მეგობრის მომგებზე გარკვეულწილად შური იძია.

დღეს აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირა; ტოჩინოშინის მეტოქე იქნება დასავლეთის მეთხუთმეტე მაეგაშირა კასუგაო, რომელიც კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ტურნირს ატარებს. მას რვა საშეჯიბრო დღის მერე ამდენივე მარცხი აქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი ქართველმა სუმოისტმაც უნდა დაამარცხოს.

კასუგაო უკვე 31 წლისაა, თან მეათე წელია, პროფესიულ სუმოს ეზიარა, თუმცა ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონამდე მისასვლელად ხუთი წელი დასჭირდა. კარიერაში ყველაზე მაღლა მესამე მაეგაშირობამდე ავიდა. ერთი სიტყვით, ტოჩინოშინს ძალიან რთული მეტოქე არ ეყოლება დღეს.

რაც შეეხება მეორე ქართველ სუმოისტს, მაკუუჩი დივიზიონში მოასპარეზე მეორე ლევანს, კოკაის, მან სრულად გაითავისა უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე და მაქსიმუმს აკეთებს ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულებისათვის. შაბათს ცაგურიას მეტოქე აღმოსავლეთის მეთოთხმეტე მაეგაშირა ტაკეკაძე იყო და, როგორც ზემოთაც გითხარით, მასთან ჩვენი ფალავანი დამარცხდა.

სამაგიეროდ, კვირას მოახერხა ძალების მობილიზება და კასუგანიშიკი დაამარცხა. ამის შემდეგ კოკაის სექტემბრის ბაშოზე ექვსი მოგება და ორი წაგება დაუგროვდა.

ლევან ცაგურიას მომდევნო მეტოქე დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ტაკამისაკარი იქნება. ამ სუმოისტს მიმდინარე შეჯიბრებაზე ორი მოგება და ექვსი წაგება აქვს. ლევანს კიდევ ორი გამარჯვება სჭირდება და ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულებას გაინაღდებს, ამით ეს მაკუუჩი დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს.

გუშინ მონღოლმა იოკოძუნამ, ასაშორიუმ სრულიად მოულოდნელად მარცხი იწვნია დასავლეთის სეკივაკე ტოიონოშიმასთან შეხვედრაში. ეს წაგება ჩემპიონობისთვის მიმდინარე ბაშოზე რიგით მესამე იყო. ამასთან ერთად ასაშორიუს ხუთი მოგება აქვს.

მაკუუჩი დივიზიონს კი ერთდროულად სამი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან მონღოლი იოკოძუნა — ჰაკუჰო, ასევე მონღოლი, ოლონდ სეკივაკე — ამა და იაპონელი, დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა — გოეიდო. სამივე ამ სუმოისტს შვიდი გამარჯვება და ერთადერთი მარცხი აქვს.

ახლა შეჯიბრების დასრულებამდე შვიდი საბრძოლო დღეა დარჩენილი. უკვე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება მოვლენები და იმედია, ქართველი სუმოისტები მოახერხებენ შეჯიბრების დადებითი ბალანსით დასრულებას.

მაკუშიტა დივიზიონში, რომელიც რანგით მესამეა პროფესიული სუმოს სამყაროში, ასპარეზობას განაგრძობს მესამე ქართველი ფალავანი, 22 წლის თეიმურაზ ჯუღელი. მისი საბრძოლო სახელია გაგამარუ.

ამ სუმოისტმა უკვე ჩაატარა ოთხი შეხვედრა, რომლიდანაც სამი მოიგო და ერთში დამარცხდა. გაგამარუმ შაბათს ტოჩიცუბასას აჯობა. ახლა ქართველს დარჩენილი სამი შეხვედრიდან ერთის მოგება სჭირდება და ტურნირს დადებითი ბალანსით დაასრულებს, რაც ავტომატურად რეიტინგში დაწინაურებას ნიშნავს.

**გიორგი არაგული**



კოკაის და ტაკეკაძეს ბრძოლა

# გამოუშვით რუსეთი

## ქართველებს სურვილი აუსრულდათ

**გუშინ** პოლონეთში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი B დივიზიონის პირველი შეხვედრა ჩაატარა ჰოლანდიის ნაკრებთან. ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ დიდი სხვაობით, 62:7 დაამარცხეს მოწინაალმდეგ.

წინასამატჩოდ ჩვენები, რა თქმა უნდა, ფავორიტებად განიხილებოდნენ. მაგრამ ჰოლანდიელებმა პირველი 10 წუთში სიურპრიზი შესთავაზეს მაყურებელს. მათ მედგარი წინააღმდეგობა გაწიეს ჩვენებს და დროის მცირე მონაკვეთში ანგარიშიც მიჰყავდათ.

შეხვედრაში პირველი ქულები ქართველებმა მოინაგრეს, ადრეული ლელო გაიტანეს და 5:0 იგებდნენ, როცა ჰოლანდიელების შეტევა გამოეპარათ, ლელო გაუშვეს და გარდასახვითაც დაისაჯნენ. ჩვენს ნაკრებს გონზე მოსასვლელად სამიოდე წუთი დასჭირდა.

მალე დავით ჩავლეიშვილის დამოძღვრილებმა ხელდახელ რაგბობა გაახურეს. რამაც „ნარინჯისფერთა“ წინააღმდეგობას აზრი დაუკარგა.

ისეთი შეხვედრა გამოდგა, რომ ჩვენი გუნდიდან განსაკუთრებით ვერავის გამოარჩევდით. ყველამ საუცხოოდ ითამაშა და ამ ლაღი რაგბობაში „ბორჯღალოსნებმა“ 62 ქულას მოუყარეს თავი. საბედნიეროდ, სხვა სიკეთესთან ერთად საქართველოს ნაკრები ამ ჯახიდან თითქმის უდანაკარგოდ გამოვიდა. ტრავმირებული მხოლოდ ნაკრების კაპიტანი ლადო გუნიავაა, რომელმაც თვალი დაიზიანა. მას მეტოქის ბუცი მოხვდა სახეში და შეხვედრის დასრულების შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს გამოკვლევაზე. სავარაუდოდ, სერიოზული ტრავმა არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ასე გვითხრა ნაკრების მენეჯერმა ოთარ იაშვილმა.

ჰოლანდიის ნაკრები სუსტი მოწინააღმდეგე იყო და ჩვენებს ყველა ვარიანტში უნდა მოეგოთ. სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრები 24 სექტემბერს ნახევარფინალში რუსეთის ნაკრებს ხვდება.

სხვათა შორის ტურნირამდე ჩვენების მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა გვითხრა, ერთი სული გვაქვს, პოლონეთში რუსებს გადავეყაროთო.

რუსებმა თავის მხრივ, არცთუ დამაჯერებლად მოუგეს პოლონელებს. „ბორჯღალოსნები“ კი, ვგონებ, პოლონეთში უფრო მეტად რუსებთან შეხვედრის სურვილით წავიდნენ. ვნახოთ, რა მოხდება. მეორე ნახევარფინალური წყვილი რუმინეთმა და პორტუგალიამ შეადგინეს. მათი შერკინებაც 24 სექტემბერს გაიმართება.

გეტყვით იმასაც, რომ ეს ტურნირი 20-წლამდელებში მსოფლიოს ალაფის საგზურს იძლევა და, რაღა თქმა უნდა, საგზურს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებული ნაკრები მიიღებს.

**ზურაბ მიგრიაული**

**საქართველო 62:7 ჰოლანდია**
**რუსეთი 20:11 პოლონეთი**
**პორტუგალია 24:8 ესპანეთი**
**რუმინეთი 28:9 ბელგია**

**ნახევარფინალი**
**საქართველო — რუსეთი**
**რუმინეთი — პორტუგალია**

**5-8 ადგილებისთვის**
**ბელგია — ესპანეთი**
**პოლონეთი — ჰოლანდია**

# ელიტარული ქართველების ფრანგული ამბები

**საფრანგეთის** უმაღლეს დივიზიონში, სადაც რვა ქართველი მორაგბე თამაშობს, მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა „დაქსისა“ და „ბიარიცის“ შეხვედრა.

მატჩის დასაწყისიდანვე დაქსის მორაგბეები დაეუფლნენ უპირატესობას, მათი შეტევები ზედმიწევნით კარგად ორგანიზებული იყო, დაცვა კი დისციპლინირებული და აგრესიული. დიმიტრი იაშვილის გუნდმა ვერაფერი დაუპირისპირა მასპინძელთა მოძალებას, რომელთა შერკინება გამთამაშებლებს შეტევის სწრაფი გაგრძელების საშუალებას აძლევდა. „დაქსის“ პივოტმა, ვიგნუ-ტუქემ ფეხით უნაკლოდ ითამაშა. მას არც ჯარიმები და გარდასახვები გაუცუდებია, და გამარჯვების ლელოც თავად გაიტანა. საერთო ჯამში 15 ქულა მოუტანა საკუთარ გუნდს. მატჩის პირველი ლელო დამიენ ტრაის უხერხულად გადაკიდებულ ბურთს მოყვა — მარტინ არამბურუმ ხელსაყრელ პოზიციაში მიიღო ბურთი და შესანიშნავი ხელუკულმა პასით ფიჯელ გარემარბს ნანუკის, რომელმაც ამ მატჩში ორი ლელოს გატანა მოახერხა, ლელო დაადებინა. დაქსისთვის ეს მეორე გამარჯვება იყო — წინა ტურში ირაკლი გიორგაძის გუნდმა გასვლაზე უფროსი ძმის, აქვსენტი გიორგაძის „კასტრს“ მოუგო. ირაკლის არცერთ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, აქვსენტიმ მეოთხე ტურის მატჩში შეცვლაზე ითამაშა.

ქართველები არ იყვნენ „კასტრი“ —„კლერმონის“ მატჩის განაცხადში. აქვსენტი გიორგაძის გუნდმა, როგორც იქნა ნავსი გატეხა და ტოპ14-ის ბოლოდროინდელ გამოკვეთილ ლიდერს, დავით ზირაქაშვილის კლერმონს სძლია. თამაშში ლელო არ გასულა მაგრამ იყო ორი არეკნი რამაც კასტრელებს გამარჯვება და შესაბამისად ოთხი სატურნირო ქულა მოუტანა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთის ჩემპიონ „სტად ფრანსეს“ არ გასჭირვებია დავით ხინჩაგაშვილის „ბრივის“ დამარცხება. მასპინძელთა ოთხი ლელოდან ორი არგენტინელი ვარსკვლავის ხუან ერნანდესის ანგარიშზეა, რომელმაც ამ თამაშში ადგილი გაუცვალა ლიონელ ბოქსს და პივოტის ნაცვლად ფულბეკად ითამაშა. „სტად ფრანსეს“ გამარჯვება ოდნავ გააუფერულა არგენტინელი რვა ნომრის ხუან-მანუელ ლეგუიზამონის კისრის ტრამვამ — არგენტინელს სახიფატო, მაღალი ბოჭვა ტონგელმა უფანგამ გაუკეთა, რის შემდეგაც ლეგუიზამონი პირდაპირ ჰოსპიტალში გააქცუნეს, ხოლო დამნაშავე გააძევეს.

პარიზელები ტოპ14-ის გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობენ და მეორეადგილოსან პერპინიანს ხუთი ქულით უსწრებენ.

„ფელიქს მაიოს“ სახელობის სტადიონზე გია ლაბაძის „ტულონმა“ ბურგუნდიელებს სძლია. ტანა უმაგას ვარსკვლავურმა გუნდმა დამაჯერებლად ითამაშა. პირველი ლელო სწორედ სუპერმორაგბეების, კოლინზისა და ფან ნიკერკის შეტევას მოყვა. რასაც „ბურგუენმა“ სამი ჯარიმით უპასუხა და დაწინაურდა კიდეც, თუმცა ოცი წლის გარემარბმა კლემენ იმბერტმა მალევე შესანიშნავი ლელო გაიტანა, რითაც დიდად გაახარა ტულონელთა ახალზელანდიელი გურუ, რომელსაც ამასწინათ კლუბის ხელმძღვანელობამ თითიც კი დაუქნია — ვარსკვლავებით გაძეძგილი გუნდი რომ ვერ იგებს დამნაშავის მოძებნა არც ისე რთულიაო. გია ლაბაძე ავადმყოფობის გამო განაცხადში არ იყო, ხოლო ახალგაზრდა ბურჯი დავით ქუბრიაშვილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

მამუკა გორგოძის „მონპელიემ“ ვერაფერი მოუხერხა დაცვაში ორგანიზებულად მოთამაშე „პერპინიანს“. ჩვენებურის გუნდმა მხოლოდ ერთი ჯარიმა გაუტანა სტუმრებს, რომელთა მიერ პირველი ნახევრის ბოლოში გატანილი გარდაუსახველი ლელოც კი საკმარისი აღმოჩნდა მატჩის მოსაგებად.

შინ დამარცხდა გოდერძი შველიძის, ბექა შეყლაშვილისა და გიორგი მჭედლიშვილის „მონტობანიც“.

**ნიკა ძოწაძე**






# ოლიმპიური ვაკანსიები: ყაიმები და ხუხაშვილი



**ვერის** ბაღში, ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ორი ვაკანტური ადგილისთვის მატჩ-ტურნირი მიმდინარეობს.

გათამაშებაში უკვე ოთხი ტური მიიწურა და ჯერჯერობით ლიდერობას ვერავინ ეცილება სოფო ხუხაშვილს, რომელმაც ბოლო შეხვედრაში ყაიმი გააკეთა მაიამ ლომინეიშვილთან, მაგრამ მაინც 2,5 ქულა აქვს და, როგორც უკვე ვთქვით, ერთპიროვნულად ლიდერობს.

შეჯიბრებაში პირველი წრე მოიილია ნინო ხურციძემ, მის ანგარიშზე 2 ქულაა. მე-3 ადგილზე სალომე მელიაა 1,5 ქულით და მე-4 ადგილს სოფო გვეტაძე და მაია ლომინეიშვილი იყოფენ თითო-თითო ქულით.

მატჩ-ტურნირი ორ წრედ იმართება. პირველი წრის ბოლო შეხვედრაში სოფო გვეტაძე მაია ლომინეიშვილს ეთამაშება, ხოლო სოფო ხუხაშვილი — სალომე მელიას.

**ზურაბ მიგრიაული**

საქართველო კალათბურთის ფედერაცია
აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების
კურსებზე. მსურველებს გთხოვთ
დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54



# გეორ-გიას ბრაზილია დამთავრდა

**ბრაზილიაში** მიმდინარე პლაჟფრენბურთელთა მსოფლიო სერიის ტურზე გოგონათა წყვილის, საქას და რთველოს, მსგავსად ვაჟთა ტანდემიც — გეორ-გია — გამოეთიშა ტურნირს.

გაქართველებული ქალების თამაშის შესახებ უკვე გვეწერა. გეორ და გიაზე კი გეტყვით, რომ მათ პირველ და მეორე რაუნდებში გაიმარჯვეს, ჯერ ბრაზილიელები, ჟანი და ტიაგო, დაამარცხეს 2:0, შემდეგ შვეიცარიელები, გაბატილერი და შეკნგერი, გაუყენეს მათ გზას. მართალია, მე-3 რაუნდში გერმანელებთან, რეკერმანთან და ურბაცკასთან, დამარცხდნენ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც გავიდნენ, სადაც ჰაბერ-ბიგუელის ავსტრიულ ტანდემთან უნდა ეთამაშათ.

სამწუხაროდ, გეორ-გია ავსტრიულ დუეტთან სათამაშოდ ერთ-ერთის ტრავმის გამო არ გამოცხადდა. ჩვენებს წაგება ჩაეთვალათ და შეჯიბრებას გამოეთიშნენ, მაგრამ რომელს ჰქონდა ტრავმა ამას ოფიციალური ვებ-გვერდი არ იუწყება.

**ზურაბ მიგრიაული**





ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსული აზია


დინარა საფინა

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

### ნახევარფინალი

**სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:6 6:2; ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) — ალიზ კორნე (საფრანგეთი) 6:0 6:3; დინარა საფინა (4, რუსეთი) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:1 6:0**

### ფინალი

**საფინა — კუზნეცოვა 6:1 6:3**

სეზონის დასაწყისი დინარა საფინამ პირწმინდად ჩააგდო — პირველ სამ თვეში მან 10 მატჩის წაგება მოასწრო. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ნიჭიერად მიჩნეული რუსს მორიგი საზიზღარი წელი უნდა ჰქონოდა.

მაგრამ მაისიდან მოყოლებული ყველაფერი შეიცვალა და მარატ საფინის უმცროსმა დამ სტაბილურად ისეთი მაღალი დონის ჩოგნაობა გააჩაღა, რომ წლეულს მას რამდენიმე თუ შეედრება. გაზაფხულსა და ზაფხულში რუსმა 42 შეხვედრა ჩაათამაშა და ამათგან მხოლოდ 5 წააგო. პლუს ბლომად ტიტულებიც მოხვეტა — იმარჯვა ბერლინში, ლოს ანჯელესსა და მონრეალში. გარდა ამისა, ითამაშა „როლან გაროსის", ჰ ერტოგენბოშისა და ოლიმპიადის ფინალებში. ორად-ორი ტურნირი, სადაც მან სატიტულო მატჩამდე მისვლა ვერ შეძლო (უიმბლდონი მესამე წრეში დამარცხდა) და აშშ-ს ღია პირველობა ნახევარფინალში სერენა უილიამსთან წააგო იყო.

ყველაზე შთამბეჭდავი კი მაინც ის არის, რომ საფინა ყველაფერ ამას სხვადასხვა საფარზე აღწევდა — თანამედროვე ჩოგბურთში კი ასეთი უნივერსალიზმი ფრიად იშვიათი მოვლენაა.

რუსმა იღბალს აზიურ კაუჩუკზეც უწია და ტოკიოში გამარჯვებით წლეულს თავისი მეოთხე, კარიერაში კი მეცხრე ტიტული გაინაღდა. იაპონიაშიც მართლაც დამაჯერებლად ითამაშა და სრულიად დამსახურებულადაც იხეირა. განსაკუთრებით ძლიერად დინარამ მაინც გადამწყვეტი მატჩები ჩაატარა, როცა ჯერ ნახევარფინალში ნადია პეტროვა შეარცხვინა და მხოლოდ გეიმი დაუთმო. არადა, აქამდე პეტროვასთან ხუთივე შეხვედრაში წაეგო. ფინალში კი უკვე სვეტლანა კუზნეცოვა გაბრდღვნა და ერთ საათში დაამშამათა.

„ვიცოდი, რომ დღეს ჩემი შანსი უნდა გამომეყენებინა და აგრესიული ვყოფილიყავი. სვეტლანასთვის ინიციატივის დათმობა ნამდვილად არ შეიძლება. იაპონიაში კი საკუთარი თამაში მეოთხედფინალში, კაია კანეპისთან შეხვედრაში ვიპოვე და იქიდან მოყოლებული საქმე ადვილად წავიდა" — განაცხადა ნამატჩევს საფინამ.

კუზნეცოვა კი თავს იმართლებდა — მეტოქეს ყველაფერი გამოსდიოდა და ამის ფონზე არაფერი გამომივდაო.

**ქალები**
გუანჯოუ. ჩინეთი. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

### ნახევარფინალი

**ვერა ზვონარიოვა (1, რუსეთი) — ჟი ჟენგი (3, ჩინეთი) 6:3 7:5; შუაი პენგი (4, ჩინეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:2 6:1**

### ფინალი

**ზვონარიოვა — პენგი 6:7 6:0 6:2**

რაც პატი შნიდერმა გუანჯოუში თამაშზე ხელი აიღო, მაშინვე ვთქვით, ვერა ზვონარიოვა უპირობო ფავორიტად იქცა და სასწაული უნდა მოხდეს გამარჯვება ვერ მოახერხოსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი — რუსი მთელი კვირის განმავლობაში ამტკიცებდა ამ სიტყვების სამართლიანობას და გუშინ საბოლოოდ ყველა დაარწმუნა, რომ მისი კლასის მეჩოგნე ჩინეთში არავინ იყო.

ზვონარიოვამ ფინალამდე სეტწაუგებლად იარა და მხოლოდ სატიტულო მატჩში დასჭირდა კორტზე ორი საათის გატარება. პრობლემები კი რუსს მასპინძლებმა გაუჩინეს. ისე ამაში გასაკვირი არც არაფერი იყო, რადგანაც გუანჯოუში ჩასული მეჩოგნეებიდან ლამის მესამედი მასპინძლები იყვნენ — 32 ჩოგბურთელიდან 9 ჩინელი გახლდათ. ჰოდა, საოცარი არაფერია იმაშია, რომ ამ ჯგროში ორიოდ ჩოგბურთელი გამოჩნდა ისეთი, ვინც ზვონარიოვასთან შეთამაშება შეძლო.

ეს ჯერ ჟი ჟენგმა მოახერხა, როცა ნახევარფინალში რუსს კარგა ხანს ტოლ-სწორად ეომა, მაგრამ დიდი წვალების მიუხედავად მაინც ორ სეტში წააგო. აი, შუაი პენგმა კი მოახერხა და პარტია მაინც აართვა სლავს. მაგრამ ეგ იყო და ეგ — ზვონარიოვამ მაინც შეძლო ტონუსის პოვნა და მომდევნო 14 გეიმიდან მხოლოდ ორი დათმო, რამაც მას წლეულს მეორე, კარიერაში კი მეშვიდე ტიტული მოუტანა.


ვერა ზვონარიოვა

„თავიდან ძალიან პასიური ვიყავი, მაგრამ მერე შევძელი ტემპის მომატება და ამან ყველაფერიც გადაწყვიტა" — მოკლედ მოჭრა ჩემპიონმა ნამატჩევს.

ზვონარიოვამ წლეულს 50 მატჩის მოგება მოასწრო, რითაც ის მხოლოდ მესამე მეჩოგნედ იქცა, ვინც ამ თასმას უწია — აქამდე ეს მხოლოდ დინარა საფინამა და ელენა იანკოვიჩმა შეძლეს.

**კახა ლომაშვილი**



# ჰემილტონის ბოლო იმედი



**ლუის ჰემილტონი** დღეს პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე წარდგება თავის გუნდ „მაკლარენის" ბოსებთან ერთად — აქ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება დიდ წილად გადაწყვიტოს კიდეც წლევანდელი ჩემპიონის ბედი.

„მაკლარენი" სამი კვირის წინ ბელგიურ „სპა-ფრანკოშანზე" სტიუარდთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს — მოგეხსენებათ არდენის ტყეში ჩამალულ ტრასაზე ჰემილტონმა შეძლო ძალიან ლამაზი და უაღრესად დაძაბული რბოლის მოგება, მაგრამ მას ეს გამარჯვება ჩამოართვეს კუთხის მოჭრისთვის, რითაც სტიუარდთა შეფასებით ბრიტანელმა უპირატესობა მიიღო. ამისთვის ჰემილტონი პირველიდან მესამე ადგილამდე ჩამოაქვეითეს, რითაც მან ექვსი ქულა დაკარგა.

გამარჯვება კი „ფერარის" მრბოლელ ფელიპე მასას შეხვდა, რისი წყალობითაც მან ლუისთან ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა.

ჰემილტონი სასამართლოს წინაშე დღეს დააფიქსირებს თავის პოზიციას, რის შემდეგაც პირდაპირ სინგაპურისკენ აიღებს გეზს, სადაც ამ უქმეებზე ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად ღამის რბოლა გაიმართება.

ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როდისთვის მიიღებს სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას. თუმცა მოსამართლემ უპირველესად ჯერ ის უნდა გაარკვიოს, ღირს თუ არა ამ საქმის წარმოებაში მიღება — ეს კი უკვე ხვალ გაირკვევა.

მას შემდეგ, რაც შარშან კიმი რაიკონენმა დიდწილად სწორედ ასეთი გარჩევების წყალობით შეძლო „მაკლარენის" პილოტების — იმავე ჰემილტონისა და ფერნანდო ალონსოს გადასწრება, ბრიტანული გუნდის ახლანდელი საქციელი გასაკვირი სულაც არ არის.

„ჩვენ გვინდა, ის ფაქტები გამოვამზეუროთ, რომელიც ხელთ გვაქვს, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება. ვინც ის რბოლა ნახა, ყველა დარწმუნებულია, რომ ლუისმა სამართლიანად იმარჯვა. მაგრამ სტიუარდებმა მას ეს წარმატება წაართვეს და ახლა გვინდა სამართალმა იზეიმოს" — ემოციურია „მაკლარენის" აღმასრულებელი დირექტორი მარტინ უაიტმარში.

„მაკლარენი" არ უარყოფს, რომ ჰემილტონმა წესები დაარღვია, მაგრამ რადგანაც შემდეგ მან რაიკონენი წინ გაატარა, ბრიტანელის დასჯა აღარ შეიძლებოდაო. მეტიც, ბრიტანული საჯინიბოს მესვეურები ამტკიცებენ, რომ ინციდენტის შემდეგ რბოლის კონტროლმა მათ ორჯერ დაუდასტურა — ყველაფერი სუფთად მოხდაო.

თუმც FIA-მ წინა კვირას, მონცას რბოლისას ყველაფერი განმარტა — საავტომობილო ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით ჰემილტონმა კი დაუთმო მეტოქეს პოზიცია, მაგრამ გადასწრების უფლება ჯერ არ ჰქონდა. თურმე ბრიტანელს უახლოეს მოსახვევამდე უნდა დაეცადა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეეტია რაიკონენისთვის.

„მაკლარენმა" კი მაინც მიმართა სასამართლოს — „რაც იქნება, იქნება. ჩვენ ხომ არაფერს ვკარგავთ. ამ ექვს ქულას სათვალავში მაინც არ ვიღებთ. ჩვენ ისედაც ვლიდერობთ და ვეცდებით პოზიციები უკვე მომდევნო რბოლაშივე გავიმყაროთ" — საბრძოლო ხასიათზეა უაიტმარში.

მრბოლთა უმრავლესობამ ამ ინციდენტის მიმართ საკმაოდ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. აი, მასა კი დარწმუნებულია, რომ ჰემილტონი სამართლიანად დაისაჯა და სჯერა, რომ სასამართლოში წასვლით შეიძლება თავად „მაკლარენი" დაზარალდეს. ასეთი რამ კი ფორმულა 1-ს ნამდვილად ახსოვს. მაგალითად, 1994 წელს ბრიტანელმა მრბოლმა ედი ირვაინმა გააპროტესტა ბრაზილიის გრან-პრიზე მიღებული ერთრბოლიანი დისკვალიფიკაცია. საპასუხოდ FIA-მ სასჯელი ერთიდან სამ რბოლამდე გაუზარდა.



## ლუკა დი მონტეძემელო:
## სხვები რომ მიდი-მოდიან, ჩვენ სულ თავში ვდგავართ

**„ფერარის"** პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემელო უკმაყოფილოა იმით, რომ ფორმულა 1-ში მატულობს ისეთი რბოლების რაოდენობა, რომლებიც ქალაქის ქუჩებში იმართება. მისი აზრით ამაზე აქცენტის გაკეთება სპორტის ამ სახეობას ძალიან უკან დახევს.

დი მონტეზემელოს მაინდამაინც არც ამ უქმეებზე სინგაპურში დაგეგმილი პირველი ღამის რბოლა აღაფრთოვანებს:

„რატომღაც მგონია, რომ ეს რბოლას ისეთივე იმედგაცრუებად შეიძლება იქცეს, როგორიც ვალენსიაში იყო, სადაც პილოტებს გადასწრების საშუალებაც კი არ ჰქონდათ. სამი რბოლის ქუჩებში ჩატარება არცთუ სახარბეილო მომავალია ფორმულა 1-სთვის."

იტალიური გუნდის ბოსს არც ქულათა არსებული სისტემა აკმაყოფილებს:

„კიდევ ერთი აბსურდი ის არის, რომ რბოლის გამარჯვებული და მეორე ადგილოსანზე მხოლოდ 2 ქულით მეტს იღებს."

დი მონტეძემელომ თავი შეიკავა და არანაირი კომენტარი გააკეთა ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ „მაკლარენის" სარჩელზე, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად კი განაცხადა — წესებს პატივს უნდა ვცემდეთო.

„ფერარის" პრეზიდენტი დარწმუნებულია საკუთარი გუნდის ნათელ მომავალში — „ზედიზედ 11 წელია „ფერარი" ტიტულისთვის იბრძვის. „რენო", „მაკლარენი", „უილიამსი" მოდიან და მიდიან, ჩვენ კი სულ საუკეთესოთა შორის ვართ."

**კახა ლომაშვილი**

la vuelta08

63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო - 21 სექტემბერი



*ყველაფერი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ კანტაბრიის მთებში გადაწყდა. მაშინ დაწინაურებულმა ალბერტო კონტადორმა იოლად შეინარჩუნა საერთო ჩათვლაში პირველობა და კვირას ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ოქროსფერი მაისურით მოსილმა 23-დღიანი სვლა ტრიუმფალურად დაასრულა. კონტადორმა უიშვიათესი რამ შეძლო — ის ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, მაგრამ უკვე შეასრულა უპრესტიჟულესი ველო ჰეთ თრიქი — მოიგო „ტურ დე ფრანსი", „ჯირო დიტალია" და „ლა ვუელტა ესპანა", თანაც მან ეს სარეკორდო ვადაში, 15 თვეში შეძლო და 11 თვით გააუმჯობესა ლეგენდარული ფრანგის ბერნარ ინოს მიღწევა. ამათ გარდა ჰეთ თრიქი შეუსრულებიათ ედი მერქსს, ჟაკ ანკეტილსა და ფელიჩე ჯიმონდოს.*



# ალბერტო პირველი

## კონტადორის ტურიც, ჯიროც და ვუელტაც

**მე-19 ეტაპი**, ბარის ფინიშის მიუხედავად, საინტერესოდ წარიმართა. მადრიდის გარეუბან ლას როზასში შესულმა პელოტონმა ორი დღით „გადადო" უკვე ჩემპიონი კონტადორის დედაქალაქში შეყვანა და იქვე კორდილიერებში გაისეირნა. 146-კილომეტრიან ეტაპზე ორი გვარიანი მთა ართულებდა ცხოვრებას და სამ მრბოლს გაქცევის სურვილი აღეძრა — ესპანელი დავიდ აროიო, ბელარუსი ვასილი კირიენკა და ფრანგი ჟულიენ ლუბე ადრეულად გაიჭრნენ და ერთად გადაიარეს ორივე მთა. პირველი ლუბე გამოეთიშა ბრძოლას, მან ფინიშამდე 45 კილომეტრით ადრე ამოწურა შესაძლებლობები, ესპანელ-ბელარუსის საფინიშო სპურტი კი ვუეტლაზე შინაურმა კაცმა მოიგო.

**მე-20 ეტაპზე** კონტადორის მდევრებს, უფრორე „ასტანაში" მის თანაგუნდელ ლევი ლეიფჰეიმერს თეთრცხენებშებმული ეტლიდან მისი ჩამოგდების უკანასკნელი შანსი ჰქონდა. ეს იყო 17-კილომეტრიანი ინდივიდუალური ეტაპი აღმართში და ეს ლეიფჰეიმერს შანსს მინიმუმამდე ამცირებდა, რაკი კონტადორი გადასარევი მთიელია, ეს სწორედ მისი სტიქიაა და ასეთ მოკლე დისტანციაზე არ გაანიავებდა 1.17-წუთიან უპირატესობას. ლეიფჰეიმერმა მაინც სცადა და დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა, მაგრამ არც კონტადორი ჩამორჩა დიდად — ოდენ 31 წამი დაუთმო და იოლად შეინარჩუნა საერთო ჩათვლის ლიდერის კუთვნილი ოქროსფერი მაისურა.

ლეიფჰეიმერი კი ამ მარცხის ტოლფასი მოგებით არც ძალიან გახარებული ჩანდა და არც ნაწყენი — „ჩემი მიზანი იყო ამ ვუელტაზე ორივე ინდივიდუალური ეტაპის მოგება და არა საბოლოო გამარჯვება და ამას კიდევ მივაღწიე. ალბერტი კი ჩემი თანაგუნდელია, კარგი მეგობარია და ალალად ვულოცავ ჩემპიონობას, რომელშიც აწი ველარავინ შეეცილება."

სათქმელია, რომ ეტაპი ზუსტად კონტადორის იდენტურ დროში დაფარა ალეხანდრო ვალვერდემ. რისი წყალობითაც მან საერთო ჩათვლის პირველ ხუთეულში შეაღწია და საბოლოო ჯამში მაინც ხელმოცარულმა ასე გაიჯახუნა კარი.

**21-ე ეტაპი** არაფერს წყვეტდა, ის უნდა ყოფილიყო მადრიდის ქუჩებში გასეირნება, მაგრამ მოულოდნელად იმდენ მრბოლს აღმოაჩნდა უკანასკნელი ეტაპის მოგების სურვილი, რომ პელოტონმა დედაქალაქში საშინელი სრბოლა გამართა, ორ სხვადასხვა ადგილას რამდენიმე მრბოლი დაეცა და შექმნა მინისაცობი. საბედნიეროდ ამ ხორცსაკებიდან ყველა უვნებელი გამოვიდა.

გიჟური იყო ფინიშიც, რომელიც მატი ბრეშელმა მოიგო და ამ უაღრესად საინტერესო მრავალდღიანი რბოლისათვის წერტილის დასმის მაღალი პატივი მიიღო.

**ირაკლი ფირაშვილი**

| მე-19 ეტაპი. ლას როზასი — სეგოვია. 146 კმ | |
|---|---|
| 1. დავიდ აროიო (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | 3 სთ 27 წთ 3 წმ |
| 2. ვასილი კირიენკა (ბელარუსი, „ტინკოფი") | +5 წმ |
| 3. ნიკ ნუიენსიო (ბელგია, „კოფიდისი") | +11 წმ |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +10 წმ |
| 5. გრეგ ვან ავერმატი (ბელგია, „ლოტო") | ორივეს იგივე დრო |
| **მე-20 ეტაპი. სან ილდეფონსო — ალტო დე ნავაჩერადა. 17 კმ** | |
| 1. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, „ასტანა") | +33 წთ 6 წმ |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +31 წმ |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +31 წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 2 წმ |
| 5. დევიდ მონკუტიე (საფრანგეთი, „კოფიდისი") | +1 წთ 9 წმ |
| **21-ე ეტაპი. სან სებასტიანი — მადრიდი. 102 კმ** | |
| 1. მატი ბრეშელი (დანია, CSC) | 2 სთ 44 წთ 39 წმ |
| 2. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2R) | |
| 3. დავიდე ვიგანო (იტალია, „ქუიქ სტეპი") | |
| 4. კალდო ფერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | |
| 5. გრეგ ვან ავერმატი (ბელგია, „ლოტო") | ყველას იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +80 სთ 40 წთ 23 წმ |
| 2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, „ასტანა") | +1 წთ 1 წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +4 წთ 31 წმ |
| 4. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხასობეო გალისია") | +5 წთ 4 წმ |
| 5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +5 წთ 45 წმ |



# უზრდელი ჰოვარდი



**„დალას მავერიკის"** ვირგლა ფორვარდი ჯოშ ჰოვარდი მორიგ სკანდალში გაეხვა და კიდევ უფრო შეილახა არცთე სამაგალითო მოქალაქის რეპუტაცია. ყველასთვის კარგად ცნობილ ვებგვერდ YouTube-ზე დიდებულია ტელეფონით გადაღებული კლიპი, სადაც ჰოვარდი უპატივცემულობას გამოხატავს ეროვანული დროშისა და ჰიმნის მიმართ. ვიდეორგოლი გადაღებულია ივლისში, ფეხბურთის საქველმოქმედო მატჩზე, სადაც კამერა ჰიმნის მოწიწებით მსმენელებს აფიქსირებს. ამ დროს კადრში ხვდება ჰოვარდი და ამბობს — „ახლა გამოჩნდება ბრჭყვიალა ნაჭერი. მე მას არც კი მივესალმები. მე ხომ შავი ვარ."

ჰოვარდი ბევრ სხვასაც ამბობს, უდიერად მოიხსენიებს დემოკრატიული პარტიის მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატ ბარაკ ობამას. ვებგვერდის მოდერატორებმა დიდი ნაწილი ამოჭრეს, თუმც რაც დატოვეს, ისიც საკმარისი გახდა ამ ურჯუკი კალათბურთელის შესარისხად. ჰოვარდს ჯერ არ მოუხდია ბოდიში, არადა, ძნელადსავარაუდოა, ეროვნული სიმბოლიკის პატივისმცემელ ქვეყანაში საზოგადოებამ ეს საქციელი მოუწონოს. ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი ან პირადად დაურეკავს და ან სხვას დაარეკინებს და საქციელის საქვეყნოდ მონანიებას მოსთხოვს.

„დალასის" შერეკილმა მფლობელმა მარკ კუბანმაც კი გაკიცხა თავისი გუნდის ენაწაგდებული მოთამაშე დამოუკიდებელ ინტერვიუში და იქვე რჩევაც მისცა — „შვილო, კამერები არ არიან შენი მეგობრები და მაინცდამაინც ნუ ეცდები მათ წინაშე გულის გადაშლას. ჩვენ ყველას შეგვიძლია, გვქონდეს საზოგადოებაში გაბატონებული აზრისგან განსხვავებული შეხედულება, მაგრამ სახალხოდ მათ გამოხატავს უნდა მოვერიდოთ, თუ ისინი ვინმეს ან რამეს შეურაცხყოფენ."

მაგრამ იქვე კუბანმა თავისი მოთამაშე ისე დაიცვა, როგორც მასწავლებელი იცავს ცელქ მოსწავლეს — ჯოშ კარგი გულის ბიჭია (სიტყვასიტყვით ასე თქვა), მაგრამ ამის წარმოჩენა უჭირს და მერწმუნეთ, ამაზე ვიმუშავებთო.

„კარგი გულის ბიჭი" ამ ზაფხულს ჩავარდა მარიხუანას ხმარება-შენახვაზე და მანქანით გადამეტებული სიჩქარით ქროლვაზე. მარიხუანაზე ადრეც ჩავარნილა, წლეულს „ნიუ ორლეანთან" პლეი ოფის პირველი რაუნდის სერიის მსვლელობასაც კი, რაზეც მწვრთნელმა აივერი ჯონსონმა უთხრა, ზაფხულამდე მაინც მოგეთმინაო. ეს გაუგიათ ჟურნალისტებს და პლანის მქაჩველი სპორტსმენი საქვეყნოდ გამოუჭენებიათ. ახლა კი ეროვნული დროშის აგდების ამბავიც დაემატა.

# ბოსტონმა ბუში გაამწვანა

**აშშ-ს** მოუცლელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა კალათბურთელებისთვისაც მოიცალა — ამ პარასკევს მან თეთრ სახლში მიიღო 2007-08 წლების სეზონის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსი" და საზეიმო დახვედრაზე ქვეყანას ამცნო, „სელტიქსის" პრაიდი დაბრუნდაო, თუმცალა ქვეყანამ კარგა ხნის წინ იცოდა მისი დაბრუნების ამბავი.

ნბა-ს ყველაზე ტიტულიანი კლუბისთვის 21 წლის შემდეგ ჩემპიონობის დამბრუნებელ თანამედროვე „კელტებს" ბუშისთვის საჩუქრები გაემზადებინათ — 43-ნომრიანი მწვანე, ბოსტონური მაისურა (ბუში ქვეყნის 43-ე პრეზიდენტია), რომელსაც, სიმართლე ითქვას და, უკვე ჰყავს პატრონი — ამ ნომრით „კელტების" ცენტრი კედრიკ პერკინსი თამაშობს. აგრეთვე ბოსტონელებმა ბუშს გადასცეს 100 000-იანი ჩეკი — ქარიშხალ „აიკის" მიერ დაზარალებულ ქალაქ რედ კროსს ჩვენი სახელით მოახმარეო.

ყველანი კმაყოფილები დაიშალნენ სახლებში (ბუში გვერდით ოთახში გავიდა).

**ირაკლი ფირაშვილი**



# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია | | | | | | |
| | | II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 120 | ფიურტი-კაიზერსლაუტერნი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 696 | სამბენედეტეზე-ჩეზენა | 3.10 | 2.85 | 2.35 | 1.48 | 1.33 | 1.28 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 697 | გიმარაეში-ნასიონალი | 2.00 | 3.20 | 3.90 | 1.23 | 1.32 | 1.75 |
| 23:55 | 698 | ფერეირა-ბენფიკა | 4.50 | 3.40 | 1.80 | 1.93 | 1.28 | 1.17 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 699 | სპარტა-ტეპლიცე | 1.40 | 4.20 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.69 |
| 21:30 | 700 | ზლინი-სლავია | 4.20 | 3.05 | 1.85 | 1.76 | 1.28 | 1.15 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 701 | ბ.ბისტრიცა-ჟილინა | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 465 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1.50 | 4.00 | 6.40 | 1.09 | 1.21 | 2.46 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 485 | ლილესტრიომი-ბრანი | 2.15 | 3.40 | 3.10 | 1.31 | 1.26 | 1.62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 702 | არსენალი-შეფილდი | 1.40 | 4.70 | 7.00 | 1.07 | 1.16 | 2.81 |
| 22:45 | 703 | ბარნლი-ფულემი | 2.90 | 3.30 | 2.40 | 1.54 | 1.31 | 1.38 |
| 22:45 | 704 | ლიდსი-ჰარტლპული | 1.75 | 3.40 | 5.00 | 1.15 | 1.29 | 2.02 |
| 22:45 | 705 | როტერჰემი-საუთჰემპტონი | 2.95 | 3.30 | 2.35 | 1.55 | 1.30 | 1.37 |
| 22:45 | 706 | სტოკი-რედინგი | 2.10 | 3.40 | 3.30 | 1.29 | 1.28 | 1.67 |
| 22:45 | 707 | სანდერლენდი-ნორთჰემპტონი | 1.45 | 4.30 | 6.50 | 1.08 | 1.18 | 2.58 |
| 22:45 | 708 | სუონსი-კარდიფი | 2.30 | 3.20 | 3.10 | 1.33 | 1.32 | 1.57 |
| 22:45 | 709 | უოტფორდი-ვესტ ჰემი | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 710 | ლივერპული-ქრიუ | 1.20 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 4.19 |
| 22:45 | 711 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.65 | 3.60 | 5.20 | 1.13 | 1.25 | 2.12 |
| 22:45 | 712 | ასტონ ვილა-ქპრ | 1.50 | 4.00 | 6.50 | 1.09 | 1.21 | 2.47 |
| 22:45 | 713 | ბრაიტონი-სიტი | 5.00 | 3.70 | 1.65 | 2.12 | 1.24 | 1.14 |
| 22:45 | 714 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.65 | 3.30 | 2.55 | 1.46 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 715 | პორტსმუთი-ჩელსი | 3.70 | 3.30 | 2.00 | 1.74 | 1.29 | 1.24 |
| 22:45 | 716 | ბლექბერნი-ევერტონი | 2.40 | 3.30 | 2.80 | 1.38 | 1.29 | 1.51 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 503 | ტრელებორგი-სუნდსვალი | 1.90 | 3.30 | 4.20 | 1.20 | 1.30 | 1.84 |
| 21:00 | 504 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.90 | 3.30 | 4.20 | 1.20 | 1.30 | 1.84 |
| | | ხელბურთი. კაცები. შვედეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 22 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 717 | ჰ 43-დროტი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10065 | ბოლტონი-არსენალი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10067 | ლივერპული-სტოკი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10098 | რომა-რეჯინა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10540 | ალკმაარი-პსვ | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11065 | ბოლტონი-არსენალი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11067 | ლივერპული-სტოკი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11098 | რომა-რეჯინა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11540 | ალკმაარი-პსვ | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ბოლტონი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | ლივერპული-სტოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | რომა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15540 | ალკმაარი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 1.62 | 2.05 |
| 16065 | ბოლტონი-არსენალი | 3.60 | 1.24 |
| 16067 | ლივერპული-სტოკი | 1.05 | 5.70 |
| 16098 | რომა-რეჯინა | 1.10 | 5.50 |
| 16540 | ალკმაარი-პსვ | 2.20 | 1.52 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 1.80 | 2.00 |
| 14065 | ბოლტონი-არსენალი | 2.40 | 1.45 |
| 14067 | ლივერპული-სტოკი | 1.08 | 2.90 |
| 14098 | რომა-რეჯინა | 1.20 | 2.60 |
| 14540 | ალკმაარი-პსვ | 2.00 | 1.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12065 | ბოლტონი-არსენალი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12067 | ლივერპული-სტოკი | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12098 | რომა-რეჯინა | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12540 | ალკმაარი-პსვ | 2,5 | 2.00 | 1.60 | |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13065 | ბოლტონი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 13067 | ლივერპული-სტოკი | 2.10 | 1.50 |
| 13098 | რომა-რეჯინა | 2.00 | 1.60 |
| 13540 | ალკმაარი-პსვ | 1.60 | 2.00 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17061 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ბოლტონი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | ლივერპული-სტოკი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | რომა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17540 | ალკმაარი-პსვ | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# მალე ზამთარი მოვა


კარლოს ტევესი

**„მანჩესტერ სიტიმ“** ფული იშოვნა და აწი რაღა გააჩერებს: როგორც ცნობილი გახდა, ისტლენდერები სენსაციურ პროექტს ამზადებენ — „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ კარლოს ტევესის გადაყვანა მოუნდომებიათ.

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, გაზულუქებულ „სიტის“ „იუნაიტედის“ თვაკაცს, სერ ალექს ფერგიუსონსა და არგენტინელ თავდამსხმელს შორის შავი კატის გატარება განუზრახავს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ „იუნაიტედმა“ ტევესს სეზონის დასრულებამდე მუდმივი კონტრაქტი ვერ გაუფორმა — ფორვარდი ბრაზილიელი ბიზნესმენის კია ჯურაბჩიანის საკუთრებაა და „სიტის“ მეპატრონე „აბუ დაბი იუნაიტედ გრუპიც“ პირდაპირ ამ სომხური წარმოშობის აგენტთან აპირებს დალაპარაკებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაახლოებით ერთი კვირის წინ თავად სერ ალექს ფერგიუსონს წამოცდა (თუკი ამ კაცის ყველა ნათქვამი იმთავითვე არ ისახავს რაღაც მიზანს), ტევესთან ამ სეზონის დასრულების შემდეგ შესაძლოა, კონტრაქტი აღარც გავაგრძელოთო და ამან ხომ საერთოდ გადაასხა ცეცხლს ნავთი. ერთი სიტყვით, „მანჩესტერ იუნაიტედს“ კარლოს ტევესის ორწლიანი ქირა მალე უსრულებდა და „სიტიმაც“ არეულობით ხელის მოთბობა განიზრახა.

და ჯურბჩიანი? ბრაზილიელი ბიზნესმენი დიდებულ მდგომარეობაშია. მას შეუძლია საუცხოო ბიზნესი დაატრიალოს, მით უფრო, რომ „სიტი“, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დიდი ფულის გადამხდელია. სხვათა შორის, რობინიოს „რეალიდან“ „ჩელსიში“ კი არა, „სიტიში“ გადასვლაც ჯურაბჩიანის გაკვაჭული ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი ავტომოვაჭრე, დღეს კი „მედია სპორტს ინვესტმენტის“ შეფი და წამყვანი ფიგურა, ლივერპულელი ხავიერ მასკერანოს კონტრაქტის პატრონიცაა.

ცნობისთვის: ხელშეკრულებები ისეა შედგენილი, რომ ნებისმიერი კლუბი, რომელსაც ტევესთან მუდმივმოქმედი კონტრაქტის გაფორმება ენდომება, 30 მილიონ გირვანქას უნდა შეელიოს. სხვათა შორის, გასულ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთი წამოცდენა, თითქოს წამოცდა ამ თემაზე რაღაც, მაგრამ ალექს ფერგიუსონმა დიმიტარ ბერბატოვის ყიდვის ეშხით ტევესის საქმე ჩაშალა.

ჰოდა, მოვა, ბატონო, ზამთარი, სატრანსფერო ფანჯარაც გაიღება და ყველაფერი იქ გამოჩნდება.

**ბაჩუნა ქედია**

# ფუ!... ლი მთავარია ვარსკვლავო?

**გერმანელმა** ვარსკვლავმა მიხაელ ბალაკმა წყალი ამღვრია — რობინიო „რეალიდან“ მანჩესტერ სიტიში“ მეტად სპეციფიური მიზეზის გამო გადავიდაო.

ვფიქრობთ, ისტორიას, რომელზეც გიამბობთ, დაწვრილებით შეხსენება არ სჭირდება, ამიტომაც ორი სიტყვით გავიმეორებთ: ბრაზილიელი თავდამსხმელი მთელი ზაფხულის განმავლობაში „ჩელსიში“ გადასვლისთვის იბრძოდა და სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, 32 მილიონ გირვანქად... „მანჩესტერ სიტიში“ გადაბარგდა.

ბუნებრივია, რობინიოს უფრო ძლიერ გუნდში გადასვლა რომ ჰქონოდა მიზნად დასახული, დღეს ბალაკის თანაგუნდელი იქნებოდა და აკი, გერმანიის ნაკრების კაპიტანიც ამას ამბობს:

„რასაკვირველია, ყველა ადამიანმა თავისი საქმისა თვითონ იცის, მაგრამ მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, „სიტიში“ არ გადავიდოდი. „რეალიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა სპორტული თვალსაზრისით ძნელი გასაგებია“.

სამაგიეროდ, ასეთი ტრანსფერი ფინანსური თვალსაზრისით გახლავთ იოლი ამოსაცნობი. ამბობენ, რომ რობინიოს „სიტიმ“ კვირაში 160 000 გირვანქა დაუნიშნა. შედარებისთვის, ბალაკს „ჩელსი“ კვირაში 120 ათასს უხდის, რაც ასევე არ არის ცოტა, მაგრამ გერმანელი დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელისთვის მთავარი კარიერა უნდა იყოს.


მიხაელ ბალაკი

„რასაკვირველია, „ჩელსიში“ მეც მშვენიერი კონტრაქტი მაქვს, მაგრამ ფული ფულად და კარიერაც წარმატებით მიდის. ახალგაზრდობაში, „ჰემნციდან“ ბრემენის „ვერდერში“ კი არ წავედი (მიუხედავად იმისა, რომ ბრემენელები მათთან გადასვლას მთავაზობდნენ), არამედ, „კაიზერსლაუტერნს“ მივაშურე. რატომ? იმიტომ რომ, მართალია, ეს გუნდი ბუნდესლიგაში ახალი აღზევებული იყო, მაგრამ თამაშის საშუალებას ის უფრო მომცემდა ვიდრე „ვერდერი“. შემდეგ იყო და, 2002-ში „რეალს“ „ბაიერნი“ ვამჯობინე. არადა, მადრიდიდან მეტად სარფიანი შემოთავაზება მქონდა. ახლა კი, „ჩელსიში“ ვარ, პრემიერლიგისა და მსოფლიოს საუკეთესო კლუბში.

ერთი სიტყვით, მე დღეს „ჩელსისა“ და ლონდონში თავს დიდებულად ვგრძნობ. იმედი მაქვს, კარიერასაც სწორედ აქ დავასრულებ. „ჩელსი“ ის კლუბია, რომელიც დღითიდღე პროგრესირებს. შეხედეთ ჩვენს ახალგაზრდათა აღზრდის სისტემას და დახეთ რა ხდება იქ. ეს არის კლუბი, რომელიც უამრავ ახალ ტრადიციას ამკვიდრებს. 20 წლის შემდეგ საამაყოდ მექნება, რომ ოდესღაც „ჩელსიში “ ვთამაშობდი და კარიერა იქ დავასრულე“.

**ბაჩუნა ქედია**

## ჟულიო ბაპტიშტა 10 დღე დაისვენებს

**იტალიური** „რომას“ ნახევარმცველ ჟულიო ბაპტიშტას ტრავმის გამო სავარაუდოდ 10 დღე გაუცდება.

„მარჯვენა ფეხი მაწუხებს, მაგრამ იმედია, მხოლოდ 10 დღის გაცდენა მომიწევს“ — აღნიშნა ბრაზილიელმა. ექიმების განცხადებით, 19 ოქტომბერს „ინტერთან“ მატჩს ფეხბურთელი სრული მზადყოფნაში შეხვდება.

## მინეირუს არისტოკრატობა ემუქრება

**ლონდონის** „ჩელსიმ“ უახლოეს მომავალში შეიძლება ბრაზილიელ ნახევარმცველ მინეიროსთან გააფორმოს კონტრაქტი. მას შემდეგ, რაც ზაფხულში ბერლინის „ჰერტასთან“ ხელშეკრულების ვადა ამოეწურა, ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. გასულ სეზონში მინეირუმ ბერლინურ კლუბში 26 მატჩი ჩაატარა.

## დამიან კომოლის კარისკენ მიუთითეს

**„ტოტენჰემ ჰოთსპურის“** სპორტულ დირექტორ დამიან კომოლის თანამდებობიდან დათხოვნა ემუქრება. „დეზების“ ხელმძღვანელობა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით უკმაყოფილოა. ინგლისური პრესის ცნობით, კომოლის ბედი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

## კონსილიამ გააახანგრძლივა

**ბერგამოს** „ატალანტამ“ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარესთან — ანდრეა კონსილიასთან გააახანგრძლივა კონტრაქტი. ახალი ხელშეკრულებით 21 წლის გოლკიპერი ლომბარდიულ კლუბში 2013 წლამდე დარჩება. გასულ სეზონში „აქურინის“ კიპერი „რიმინიში“ იჯარის წესით იმყოფებოდა და სერია B-ში 35 მატჩის ჩატარებაც მოასწრო. ახალ სეზონში კი ის „ატალანტაში“ მეორე გოლკიპერი გახდება კოპოლას შემდეგ.

## შვეიცარია — ფინეთის ამხანაგური

**შვეიცარიისა** და ფინეთის ნაკრებები ამხანაგური შეხვედრის ჩატარების შესახებ შეთანხმდნენ, რომელიც 19 ნოემბერს სენტ გალენში გაიმართება. ადრე გუნდები ერთმანეთს ოთხჯერ შეხვედრიან, აქედან ორჯერ შვეიცარიელებმა გაიმარჯვეს, ორჯერ — სკანდინაველებმა.

## იების ახალი არენა

**ფლორენციის** „ფიორენტინამ“ ახალი სტადიონის გეგმის პრეზენტაცია მოაწყო. ახალი არენა 40 ათასზე მეტ მაყურებელზე იქნება გათვლილი. უშუალოდ საფეხბურთო მოედნისა და ტრიბუნების გარდა კომპლექსში სავაჭრო ცენტრი და გასართობი პარკიც განთავსდება. შეგახსენებთ, რომ „იები“ საშინაო მატჩებს ამჟამად „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე მართავენ, რომელიც 47 282 მაყურებელს იტევს.

## პირლოს ორი თვე გაუცდება

**„მილანის“** ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ ვარჯიშისას მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაიჭიმა და დაახლოებით ორი თვით მწყობრიდან გამოვიდა. იტალიის ნაკრების ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა, რომელმაც ტრავმის სერიოზულობა დაადასტურა.

## მარადონა ინტერს სიძეს ურიგებს

**დიეგო მარადონა** შესაძლოა, მილანის „ინტერს“ არგენტინის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელ სერხიო აგუეროს გადაბირებაში დაეხმაროს. „ნერაძურის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის თქმით, მარადონა უახლოეს მომავალში მილანური გრანდის კონსულტანტი გახდება. ის სამხრეთ ამერიკაში სელექციონერის მოვალეობას შეასრულებს. ასე რომ, დიდი ალბათობაა, აგერო „ინტერის“ პირველი ახალწვეული გახდეს, რომელსაც კლუბი ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის შუამავლობით შეიძენს. აღსანიშნავია, რომ მარადონას ასული ჯანინა სწორედ სერხიო აგეროს მეუღლეა.

## დორტმუნდული ტრავმები

**ბუნდესლიგის** „დორტმუნდის“ ფეხბურთელები მატს ჰუმელსი და მოჰამედ ზიდანი ტრავმირებულნი არიან. ორივე მოთამაშე „უდინეზესთან“ უეფას თასის პირველი რაუნდის მატჩში დაშავდა. ზიდანმა მაურიციო დომიცისთან შეტაკებისას მუხლი დაიზიანა და შეხვედრის მე-10 წუთზე შესაცვლელი შეიქნა, ხოლო ამ ინციდენტიდან 13 წუთში მოედანი ჰუმელსმაც დატოვა, რომელმაც კოჭის ტრავმა მიიღო.

**არჩილ ქობახიძე**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### V ტური

# გაიმეორეს და არ იყო



ჩელსი — მანჩესტერი.
ფლორენ მალუდა
ედვინ ვან დერ სარის წინააღმდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 12 |
| ჩელსი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| ასტონ ვილა | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 10 |
| სიტი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:7 | 9 |
| ვესტ ჰემი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:9 | 9 |
| ჰალი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:10 | 8 |
| სანდერლენდი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ევერტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 7 |
| ბლექბერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:11 | 7 |
| ფულემი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| მიდლსბრო | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| პორტსმუთი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:12 | 6 |
| უიგანი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:4 | 5 |
| მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| ბოლტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| სტოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ნიუკასლი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| ტოტენჰემი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |

**V ტური**

27 სექტემბერი
არსენალი — ჰალი
ასტონ ვილა — სანდერლენდი
ევერტონი — ლივერპული
ფულემი — ვესტ ჰემი
მანჩესტერი — ბოლტონი
მიდლსბრო — ვესტ ბრომვიჩი
ნიუკასლი — ბლექბერნი
პორტსმუთი — ტოტენჰემი
სტოკი — ჩელსი
უიგანი — სიტი

**ბოლტონი 1:3 არსენალი**

1:0 დეივისი (14), 1:1 ებუ (26), 1:2 ბენდტნერი (27), 1:3 დენილსონი (87)
ბოლტონი: იასკალაინენი, სტეინსონი, შიტუ, ენდრიუ ობრაიენი, სამუელი, ჯოი ობრაიენი (მაკკანი 61), სმოლიარეკი (რიგა 56,) მოამბა (ვაზ ტე 81), ნოლანი, გარდნერი, დეივისი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში (ჯურუ 46), ებუ (რამსი 86), ფაბრეგასი, სონგი, დენილსონი, ადებაიორი, ბენდტნერი (ვოლკოტი 73)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დეივისი, მოამბა, სონგი, ფაბრეგასი
მსაჯი: ბენეტი
22 694 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 სტოკი**

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, დოსენა, კუიტი, ჯერარდი, ალონსო, რიერა (ბაბელი 65), კინი (ბენაიუნი 73), ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სტოკი: სორენსენი, გრიფინი, აბდულაიე ფაიე, სონკო (კორტი 22), ჰიგინ ბოთემი, ლოურენსი (კრესველი 66), ოლოფინიანა, დიაო, დელაპი, კიტსონი (ფულერი 78)
მწვრთნელი: ტონი პულისი
გაფრთხილება: შკრტელი, ფულერი
მსაჯი: მარინერი
43 931 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:1 ნიუკასლი**

1:0, 2:0 დი მიკელე (8, 37), 3:0 ეზერინგტონი (57), 3:1 ოუენი (67)
ვესტ ჰემი: გრინი, ბეჰრამი, აპსონი, ნილი, ილუნგა, ფობერი, ნობლი, პარკერი (მულინსი 72), ეზერინგტონი (ბოა მორტე 73), დი მიკელე, კოული (სირსი 87)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა
ნიუკასლი: გივენი, ედგარი (ბასონგი 59), ტეილორი, კოლოჩინი, ნზოგბია, ჯერემი, კასაპა (გონსალესი 81), ბატი, დაფი, ოუენი, ხისკო
მწვრთნელი: კრის ჰატონი
გაფრთხილება: ნილი, ტეილორი, ზოგბია
მსაჯი: დაუდი
34 743 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:0 ფულემი**

1:0 დერბიშირი (84)
ბლექბერნი: რობინსონი, სიმპსონი, სამბა, ნილსენი, უორნოკი, ემერტონი, ენდრიუსი, პედერსენი (თუგაი 60), ტვისი (დერბიშირი 75), სანტა კრუსი, რობერტსი (ვილანუელა 65)
მწვრთნელი: პოლ ინსი
ფულემი: შვარცერი, პანსილი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კონჩესკი, დეივისი, ბულარდი, მერფი, გერა, ჯონსონი, ზამორა
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: ენდრიუსი, ემერტონი, დერბიშირი
მსაჯი: ლი რობერტი
19 398 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:0 მიდლსბრო**

1:0, 2:0 ჩოპრა (81, 90)
სანდერლენდი: გორდონი, შიმბონდა, ფერდინანდი, ნოსუორთი, მაკარტნი, მალბრანკი, უაითჰედი, ტაინიო (ჩოპრა 45), რიჩარდსონი, სისე (მერფი 69), დიუფი (რიდი 68)
მწვრთნელი: როი კინი
მიდლსბრო: ტერნბული, უიტერი, ჰუთი, პოგატეცი, ტეილორი, ალიადირი, ონილი, დიგარდი (შავკი 68), დაუნინგი, ადამ ჯონსონი (ჰოიტი 68), ალვეში
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: რიჩარდსონი, ჩოპრა, ონილი, შავკი, ჰუთი
მსაჯი: ვები
38 388 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:2 ასტონ ვილა**

0:1 კარეუ (27), 0:2 აგბონლაჰორი (28), 1:2 მორისონი (33)
ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუივერლუნი, ბარნეტი, ოლსონი, რობინსონი, ვალერო (მური 56), მორისონი, კორენი, გრინინგი, ბრანტი (კინი 20), ბედნარი (მილერი 56)
მწვრთნელი: ტონი მოუბრეი
ასტონ ვილა: ფრიდელი, ლ. იანგი, დევისი, ლაურსენი, შორი (მილნერი 73), როე კოკერი, პეტროვი (გარდნერი 82), ბარი, ა. იანგი, კარეუ (კუელარი 88), აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: მორისონი, რობინსონი, ვალერო, ლ. იანგი, კარეუ, ა. იანგი
მსაჯი: მაიკ დინი
12 000 მაყურებელი

**სიტი 6:0 პორტსმუთი**

1:0 რო (13), 2:0 დანი (20), 3:0 რობინიო (57), 4:0 რაიტ-ფილიპსი (68), 5:0 ევანსი (78), 6:0 ჟელსონი (83)
სიტი: ჰართი, ზაბალეტა, რიჩარდსი, დანი, გარიდო, კომპანი, რაიტ-ფილიპსი, აირლენდი (ჟელსონი 77), ელანო, რობინიო (სტარიჯი 85), რო (ევანსი 71)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი (ჰამარტი 82), დისტინი, კემპბელი, ბელჰაჯი, დიარა, დევისი (დიოპი 33), კაბული (უტაკა 46), ტრაორე, კრაუჩი, დეფო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დიარა
მსაჯი: ალენ ვაილი
40 238 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 უიგანი**

ტოტენჰემი: გომესი, სოკორა, ვუდგეიტი, ჩორლუკა, ასუ-ეკოტო, ბენთლი (ლენონი 64), ჯენასი, ოჰარა, ბეილი (ჰადლსოუნი 80), ბენტი, პავლიუჩენკო (კემპბელი 46)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
უიგანი: კირკლანდი, ფიგუეროა, ბოისი, ბრამბლი, მელხიოტი, ვალენსია, შარნერი, პალასიოსი, კუმასი (კაპო 72), ზაკი (კამარა 82), ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ჩორლუკა, ოჰარა, ბოისი, პალასიოსი
მსაჯი: სტივ ტანერი
35 808 მაყურებელი

**ჰალი 2:2 ევერტონი**

1:0 ტარნერი (18), 2:0 ნევილი (50ს.კ.), 2:1 კაჰილი (73), 2:2 ოსმანი (78)
ჰალი: მაიჰილი, ტარნერი, მაკშეინი, ზაიატე, დოუსონი, მენდი (გარსია 77), ეშბი, მერნი, ჰალმოსი, კუზინი (ფოლანი 69), კინგი (ბოატენგი 81)
მწვრთნელი: ჰილ ბრაუნი
ევერტონი: ჰოვარდი, ნევილი, იაგიელკა, იობო, დეინესი (ლესკოტი 46), ოსმანი, ფელაინი, არტეტა, კასტილიო (საა 46), კაჰილი, იაკუბუ (ვაუჰენი 87)
მწვრთნელი: დეივ მოიესი
გაფრთხილება: ფელაინი
მსაჯი: ლი მეისონი
24 845 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 მანჩესტერი**

0:1 პარკი (18), 1:1 კალუ (80)
ჩელსი: ჩეხი, ბოსინგვა, კარვალიუ (ალექსი 12), ტერი, ეშლი კოული, მიკელი, ჯოკოული, ბალაკი (კალუ 74), ლამპარდი, მალუდა (დროგბა 46), ანელკა
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
მანჩესტერი: ვან დერ სარი (კუშჩაკი 32), ნევილი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა, ფლეტჩერი, ჰარგრივსი, სქოულზი (რონალდუ 55), პარკი (ოში 75), ბერბატოვი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მიკელი, სქოულზი, ფერდინანდი, ნევილი, ბერბატოვი, რუნი, ევრა, რონალდუ
მსაჯი: მაიკლ რაილი
41 760 მაყურებელი

**პირველი** ადგილის დასაბრუნებლად „ჩელსის" „მანჩესტერთან" მოგება სჭირდებოდა, მაგრამ ქულა გაუხდა გადასარჩენი და პრემიერლიგას ახლა „არსენალი" ლიდერობს.

ლუიშ ფელიპე სკოლარი შეცვლებში რომ ჩემპიონია, გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა. სალომონ კალუ შეუშვა და რამდენიმე წუთში „მანჩესტერის" კარში გოლიც გავიდა, რამაც „ჩელსი" სეზონში პირველი მარცხისგან იხსნა. ჯერჯერობით წაუგებლები კი „ლივერპული" და „ჩელსი" რჩებიან.

„ლივერპულმა" „სტოკის" კაზე აბრახუნა, მაგრამ არ გაულეს. მეორე წუთზე სტივენ ჯერარდმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მსაჯმა ანდრე მარინერმა კი არ ჩაუთვალა — დირკ კიუიტი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

გამეორებაზე გამოჩნდა, რომ გოლი უნდა ჩათვლილიყო, რამაც რაფაელ ბენიტესი გააბრაზა: „მსაჯის შეცდომამ ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა. 1:0-ზე უფრო ღია თამაში წავიდოდა.

არ ვიცი, რატომ არ ჩათვალა მსაჯმა გოლი. ანდრე მარინერმა ჯეიმი კარგერს უთხრა, რომ ეს მისი გადაწყვეტილება იყო და არა გვერდითი მსაჯის.

ფეხბურთელებზე კი აუგს ვერ ვიტყვი. მათ იშრომეს, თუმც ბოლო 15 წუთში მეტი სისწრაფე და სიზუსტე გვჭირდებოდა".

„სტოკის" მწვრთნელმა ტონი პულისმა გაიხარა: „საუცხოოდ ვითამაშეთ. ბიჭებმა ყოველი გოჯისთვის იბრძოლეს. იღბალიც ჩვენ მოგვემხრო. სტივენ ჯერარდის გოლი რატომ არ ჩაითვალა, ვერ გავიგე. იქ თამაშგარე მდგომარეობა არ იყო. ვინც გამეორება ნახა, მითხრეს, რომ მსაჯს ოფსაიდი მოეჩვენა, მაგრამ მე მაინც ჩემს გუნდზე ლაპარაკი მინდა. „ენფილდიდან" ქულის წაღება განსაკუთრებით სასიხარულოა".

ჯანფრანკო ძოლამ სამწვრთნელო დებიუტი „ვესტ ჰემში" გამარჯვებით აღნიშნა. „მატჩამდე ვნერვიულობდი, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან ჩემი ახალი თავგადასავალი იწყება. თავიდან ხომ არ იცი, როგორ მიიღებენ ფეხბურთელები ახალ მწვრთნელს, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს მალე გავუგეთ. ფანებმაც კარგად მიმიღეს და მხარდაჭერა ვიგრძენი. ვიმედოვნებ, რომ „ვესტ ჰემი" უფრო და უფრო უკეთესი გუნდი გახდება".

დი მიკელე საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა, მისი დარტყმული ბურთი სტივენ ტეილორს მოხვდა და კარში აღმოჩნდა. ტაიმის ბოლოს დი მიკელემ მეკარის შეცდომით ისარგებლა და სხვაობა ორამდე გაზარდა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი ეზერინგტონმა გაასამა. მაიკლ ოუენმა ერთით უპასუხა, რითაც „ნიუკასლის" ფანები ცხადია, ვერ გაახარა.

„სანდერლენდის" ფორვარდი მაიკლ ჩოპრა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე შევიდა შეცვლაზე და „მიდლსბროსთან" მატჩის მიწურულს დუბლი შეასრულა.

ჩოპრამ ცოტა ხნის წინ ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები ტონი ადამსის კლინიკაში მოიხსნა და „სანდერლენდის" მწვრთნელმა როი კინმა შანსი მისცა. „მეც მქონდა მსგავსი პრობლემა და არ მინდა, რომ მაიკლმაც გაიმეოროს — აღნიშნა კინმა — არ ვაპირებდი მის შეშვებას, მაგრამ მატჩის წინა დღეს ორმხრივ თამაშში სამი გოლი გაიტანა და ვიფიქრე, რომ „მიდლსბროსთან" შანსს იმსახურებდა".

პოლ ინსის „ბლექბერნმა" პირველი საშინაო მატჩი მოიგო. სანტა კრუზმა თავით დაუგდო ბურთი შეცვლაზე ცხრა წუთის შესულ დერბიშირს, რომელმაც ახლოდან შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩემპიონლიგა
### VII ტური

ბირმინგემი — ბლექპული 0:1; ბრისტოლი — დონკასტერი 4:1; ქოვენთრი — ქუინზ პარკი 1:0; კრისტალი პალასი — პლიმუთი 1:2; დერბი — კარდიფი 1:1; ნორვიჩი — შეფილდი 1:0; ნოტინგემი — ჩარლტონი 0:0; უენსდი — იფსვიჩი 0:0; საუთჰემპტონი — ბარნსლი 0:0; სუონსი — ბარნლი 1:1; უოტფორდი — რედინგი 2:2; პრესტონი — ვულვზი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 7 | 6 | 1 | 0 | 21:7 | 19 |
| ბირმინგემი | 7 | 5 | 1 | 1 | 9:4 | 16 |
| პრესტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:7 | 14 |
| ქუინზ პარკი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 13 |
| ბრისტოლი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:5 | 12 |
| რედინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:10 | 11 |
| კარდიფი | 7 | 2 | 5 | 0 | 7:5 | 11 |
| ქოვენთრი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:6 | 11 |
| ჩარლტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:8 | 10 |
| ბლექპული | 7 | 3 | 1 | 3 | 5:7 | 10 |
| სუონსი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| ნორვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| ბარნლი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:9 | 9 |
| უენსდი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:13 | 9 |
| შეფილდი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:6 | 8 |
| იფსვიჩი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:8 | 8 |
| უოტფორდი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | 8 |
| პლიმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| დონკასტერი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:9 | 7 |
| დერბი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| კრ. პალასი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| საუთჰემპტონი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| ნოტინგემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |
| ბარნსლი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |

## I ლიგა
### VII ტური

კარლაილი — ლიდსი 0:2; ბრაიტონი — უოლსოლი 0:1; კოლჩესტერი — მილტონი 0:3; ქრიუ — საუთენდი 3:4; ჰარტლპული — ოლდემი 3:3; ჰერეფორდი — სკანთორპი 1:2; ჰადერსფილდი — ნორთჰემპტონი 3:2; ლეიტონი — ლესტერი 1:3; მილუოლი — ჩელტენემი 2:0; პიტებრო — ტრანმერი 2:2; სტოკ პორტი — სუინდონი 1:1; იოვილი — როვერსი 2:2

## II ლიგა
### VII ტური

ალდერშოტი — ჯილინგემი 2:1; ბარნეტი — ბერი 1:2; ბრედფორდი — ბორნმუთი 1:3; დარლინგტონი — აკრინგტონი 3:0; ექსეტერი — ნოტსი 2:2; მორიკომბი — გრიმბსი 1:1; პორტ ვეილი — მაკლსფილდი 1:4; როჩდეილი — ჩესტერფილდი 2:1; როტერჰემი — ლუტონი 1:0; უიკომბი — დაგენემი 2:1; ბრენტფორდი — ლინკოლნი 1:1; ჩესტერი — შრიუსბერი 1:1

## კონფერენსლიგა
### X ტური

ალტრინჩემი — ლიუისი 1:0; ბეროუ — კეტერენგი 2:4; ებსფლიტი — უოკინგი 2:0; ფორესტ გრინი — სტივენეიჯი 0:3; გრეისი — რექსემი 2:1; ჰისტონი — ნორსვიჩი 2:1; მენსფილდი — კემბრიჯი 1:1; ოქსფორდი — ქროული 1:2; რაშდენი — ბარტონი 2:1; ტორკი — ისტბორნი 2:0; ვეიმუთი — კიდერმინსტერი 1:2; იორკი — სალისბერი 1:1

# გერმანია

## ბუნდესლიგა V ტური

### ბაიერნი 2:5 ვერდერი

0:1 როზენბერგი (30), 0:2 ნალდო (45), 0:3 იოზილი (54), 0:4 პისარო (59), 0:5 როზენბერგი (67), 1:5, 2:5 ბოროვსკი (71, 85)
ბაიერნი: რენსინგი, ლუსიო, დემიკელისი, ვან ბუიტენი (ბოროვსკი 46), ლელი (ოდო 46), ვან ბომელი, ლამი, შვაინშტაიგერი, ზე რობერტო (სოსა 67), პოდოლსკი, ტონი
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
ვერდერი: ვიზე, პრიოდლი, ნალდო, მერტესაკერი, ბოენიში, ბაუმანი (ფუნტი 46), ვრანიეში, იოზილი (ნაიმეიერი 77), დიეგო, როზენბერგი (სანოგო 70), პისარო
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: დემიკელისი, ბაუმანი, ვრანიეში
მსაჯი: კინ ჰოფერი
69 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:0 ჰანოვერი

1:0 როლფესი (5), 2:0, 3:0, 4:0 ჰელმესი (19, 59, 66)
ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო (შვეგლერი 67), ენრიკე, ჰაგუი, კადლეცი, როლფესი, რენატო, ვიდალი (დუმი 73), ბარნეტა, ჰელმესი (დეკასი 67), კისლინგი
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
ჰანოვერი: ენკე, ბალიჩი, ისმაელი (ფარენჰორსტი 28), ეგიმანი, ვინისიუსი, იანკოვი, ბ. შულცი, შლაუდრაფი (ზიზო 50), პინტუ, ჰუსტი (ლალა 46), შტაინერი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ფარენჰორსტი, პინტუ, იანკოვი
მსაჯი: გრეფე
22 000 მაყურებელი

### კოტბუსი 1:1 ბოხუმი

1:0 სორენსენი (13), 1:1 იაშია (48)
კოტბუსი: ტრემელი, რადელიჩი (პავიჩევიჩი 66), კუკიელკა, ცვიტანოვიჩი, ძიბიგი, ს. ანგელოვი, ტ. როსტი, შკელა, რანგელოვი, ბ. იელიჩი (ილიევი 54), სორენსენი (ჟულა 84)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
ბოხუმი: ფერნანდესი, პფერცელი, იაშია, მალტრიცი, ბიონიგი (ფუხსი 77), იმჰოფი (ცდებელი 33), ფრაიერი, დაბროვსკი, აზაუაგი, სესტაკი, მისიმელი (ჰაშემიანი 65)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: შკელა, რანგელოვი, ინჰოფი, მალტრიცი, სესტაკი, ცდებელი
მსაჯი: მეიერი
12 174 მაყურებელი

### არმინია 2:0 კიოლნი

1:0 კამპერი (74), 2:0 მაკენა (77)
არმინია: აიჰოფი, ლამეი, ნ. ჰერცოგი, კუჩერა, შულერი, კაუფი, კირხი, ტეშე, კატონგო (ბოლმანი 85), ჰალფარი (კამპერი 65), ვიხნიარეკი (სადიკი 90)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონსეკი
კიოლნი: მონდრაგონი, მაკენა, გერომელი, მოჰამადი, ვომე (ვუჩიჩევიჩი 80), პეტიტი, მატიპი, ბრეკო, ანტარი (შერცი 68), რადუ (სანოუ 85), ნოვაკოვიჩი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: პეტიტი, ბრეკო, შერცი
მსაჯი: კემპტერი
24 400 მაყურებელი

### გლადბახი 0:1 ჰერტა

0:1 კაჩარი (11)
გლადბახი: ჰაიმეროტი, ნდიენგი, კალსენ-ბრეკერი, ვოიტი, დემსი, ალბერმანი, ბრედლი (ბაუმჯიოჰანი 65), მატმური (ტოუმა 77), მარინი, ნოივილი (როსლერი 65), ფრიენდი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
ჰერტა: დ.-ობნი, ა. ფრიდრიხი, კაკა, შიმუნიჩი, კაჩარი (ლუსტენბერგერი 62), მ. შტაინი, სისერო, რაფაელი (პიშჩეკი 75), ნიკუ, ვორონინი, პანტელიჩი (ჩაჰედი 85)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრე
გაფრთხილება: კაკა, ჩაჰედი
მსაჯი: ბრიხი
43 193 მაყურებელი

### შალკე 1:0 აინტრახტი

1:0 ოხსი (41 ს.კ.)
შალკე: ფერმანი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ქობიაშვილი, ჯონსი, ვესტერმანი, ენგელაარი, ფარფანი, რაკიტიჩი (სანჩესი 72), კურანი (ა. შტრაიტი 83)
მწვრთნელი: ფრედ რუტელი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ოხსი, გალინდო, რუსი, სპიხერი, კრისი, ფინკი, მაიერი, ფენინი (შტაინჰოფერი 85), ტოსკა (ბელაიდი 39), ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: გალინდო, სპიხერი, ფენინი
გაძევება: კრისი (34)
მსაჯი: ფანდელი
61 542 მაყურებელი

### შტუტგარტი 3:1 კარლსრუე

0:1 ფრეისი (8), 1:1 კედირა (22), 2:1 გომესი (68), 3:1 მარიკა (87)
შტუტგარტი: ლემანი, ოსორიო, ბულაჰრუზი, ტასკი, ბოკა, კედირა, ლამიგი, ჰიცლსპერგერი, შიმაკი (ჰილბერტი 46), კაკაუ (მარიკა 70), გომესი (მანჟიეკი 89)
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
კარლსრუე: მილერი, სელოცი (ბაკი 83), სებასტიანი, ფრანცი, ეიხნერი, მუტზელი, პორსელიო (ტიმი 78), ფრეისი, და სილვა, იაშვილი (შტინდლი 78), კენედი
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
გაფრთხილება: ტასკი, გომესი, იაშვილი, ფრანცი, ბაკი
მსაჯი: გეგალმანი
55 000 მაყურებელი

### ჰოფენჰაიმი 4:1 დორტმუნდი

1:0 იბიშევიჩი (5), 2:0 სალიჰოვიჩი (25), 3:0 იბიშევიჩი (47), 4:0 ედუარდო (67), 4:1 სანტანა (90)
ჰოფენჰაიმი: ოსკანი, ბეკი, ნილსონი, კომპერი, იბერტსბერგერი, ვაისი, გუსტავო (ფორსაჰი 74), სალიჰოვიჩი (ტებერი 75), ედუარდო, ბა (ობასი 71), იბიშევიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
დორტმუნდი: ვეიდენფელერი, რუკავინა, სანტანა, სუბოტიჩი, შმელცერი, ტინგა, საჰინი, ფედერიკო (ბლაშკოვიჩი 46), კრინგე (კელი 64), ვალდესი, კლიმოვიჩი (სარდიაი 46)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ვალდესი
მსაჯი: რაფატი
26 300 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 3:0 ჰამბურგი

1:0 დეჯაგა (15), 2:0 მადლუნგი (22), 3:0 გრაფიტე (28)
ვოლფსბურგი: ბენალიო, რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, შაფერი, ჰასებე (სალიკი 66), ჟოსუე, დეჯაგა (სანტანა 52), მისიმოვიჩი, გენტნერი (ძაკარდო 82), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰამბურგი: როსტი, ბოატენგი (პიტროიპა 29), სილვა, მატიისენი, ატოუბა, დე იონგი, დემელი, იაროლიმი, ტროხოვსკი (პეტრიჩი 65), გერერო, ოლიჩი (ტიაგო 82)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: რიტერი, დეჯაგა, გერერო, ბოატენგი, დემელი
მსაჯი: კირშერი
30 000 მაყურებელი


ნალდოს საგოლე დარტყმა

# შავი შაბათი

„ბაიერნი“ სწორედ მაშინ ჩაწიხლა „ვერდერმა“, როცა იურგენ კლინსმანს ეგონა, გუნდი გავაკეთეო.

შერცხვენილი „ბაიერნის“ მწვრთნელმა იმ დღეს „შავი შაბათი“ უწოდა: „ვერდერმა“ ყოველმხრივ დაგვჩაგრა — თქვა კლინსმანმა — ეს ჩვენთვის შავი დღე იყო. მეტოქე ბევრად უფრო მონდომებულად და აგრესიულად თამაშობდა. ამ მარცხისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ“.

„სამი ქულა ავიღეთ, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია — განაცხადა თომას შააფმა — ეს გამარჯვება თავდაჯერებულობას შეგვმატებს, რადგან თვით „ბაიერნი“ დავამარცხეთ სტუმრად“.

იურგენ კლინსმანის გუნდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი მოგებული მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში „სტიაუას“ სძლია და „ბაიერნი“ თითქოს ალმასვლის გზას დაადგა, მაგრამ „ვერდერისგან“ ისეთი ალიყური მიიღო, რომ გონზე მოსასვლელად რამდენიმე დღე დასჭირდება. მიუნხენური კლუბის დაცვა „ვერდერმა“ „დახვრიტა“, საცოდავი მიხაელ რენსინგი კი კარიდან ბურთის გამოტანას ვერ ასწრებდა.

განსაკუთრებით კარგად ითამაშა „ვერდერის“ 19 წლის ნახევარმცველმა მესუთ ოზილმა, რომელმაც ორი საგოლე პასი მიითვალა და ერთიც თვითონ შეაგდო. ყოფილ ბაიერნელს კლაუდიო პიზაროს გოლი არ უზეიმია, ისევე როგორც „ვერდერის“ კარში ორის გამტან ყოფილ ბრემენელს ტიმ ბოროვსკის.

„ჰანოვერმა“ წინა ტურში „გლადბახს“ 5:1 მოუგო მაგრამ პარასკევს ოთხბურთიანი სხვაობით მარცხი ლევერკუზენში თვითონ იწვნია. „ჰანოვერის“ რბევა საიმონ როლფესმა დაიწყო და პატრიკ ჰელმესმა ზედიზედ სამი მიაყოლა.

„შალკემ“ კაცნაკლულ „ანტრახტს“ გოლი ვერ გაუტანა, მაგრამ მაინც მოუგო — სტუმარმა ოხსმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა მას შემდეგ, რაც ფრანკფურტელებს კრისი გაუძევეს.

